ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 აგვისტო, 2021 №155 (8684) ფასი: 60 თეთრი

მეუფე გრიგოლი: „ექიმებში არსებობს ორაზროვანი განწყობები ვაქცინაციაზე“

„გამორიცხული არ არის, ის არსებობდეს სასულიერო პირებს შორისაც“

გვ.3

„თბილისს „ოცნება“ არაფრის ფასად არ დათმობს“

სოსო ცინცაძე: „თბილისში ის, რაც გახარიაზე ახსოვთ, რეგიონებში არ ახსოვთ, ამიტომ, სწორად იქცევა, რეგიონებში რომ დადის“



გვ.3

კახა კუკავა: „გამყრელიძე ამბობს, არ მოაწყოთ მასობრივი ღონისძიებებიო და მერე თვითონ გარბის ასკინკილით და „ქართული ოცნების“ ყრილობებს ესწრება“

გვ.2

„ნაციონალური მოძრაობა საკუთარ ამომრჩეველს ძალიან უსინდისოდ ექცევა“

საქართველოს პრემიერი „უკრიმის პლატფორმის“ სამიტში მონაწილეობს

მოხერხდება თუ არა საქართველოსა და უკრაინის ძალებისა და ინიციატივების გაერთიანება?

გვ.4

გვ.5

„ნიკას სიკვდილს გულწრფელად ნანობს“

ზვიადაურმა ციხიდან კენჭოშვილებს წერილი მისწერა

გვ.3

„19 კვირის ორსული ვარ და დედაჩემმა ფაიზერით ამცრა“

ISSN 1987-9385

4 სუსი ხაშურში გახარიას პარტიას უთვალთვალებს

5 „მოკლულია და შემდეგ მოტანილი“ — ამურ შველიძის თვითმკვლელობის საქმე თავდაყირა დგება

4 ნაციონალურმა მოძრაობამ მერობის კანდიდატების მეორე ნაწილი წარადგინა

6 ტრამპმა ბაიდენს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა

საბერძნეთმა თურქეთის საზღვარზე 40 კმ-იანი ბარიერი აღმართა

„ნაციონალური მოძრაობა საკუთარ ამომრჩეველს ძალიან უსინდისოდ ექცევა“

კახა კუკავა: „გამყრელიძე ამბობს, არ მოაწყოთ მასობრივი ღონისძიებებიო და მერე თვითონ გარბის ასკინკილით და „ქართული ოცნების“ ყრილობებს ესწრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, თქვენთვისაც ცნობილია, თუ რამდენად მძიმე სიტუაციაა ქვეყანაში ეპიდემიური თვალსაზრისით. წინ არჩევნებია, უკვე არაერთგზის მოვისმინე შეფასება, რა დროს არჩევნებია, მთავარია, გადავრჩეთო. თუმცა, ვხედავთ პრემიერს, რომელიც გაცხარებულ წინასაარჩევნო კამპანიაშია. ქვეყანასაც კი არ უსამძიმრებს, რომ ყოველდღე ამდენი ადამიანი იღუპება. ეს რამდენად ადეკვატური საქციელია? გასულია ხელისუფლება არეალიდან?

– ხელისუფლება კი არა, ამ ქვეყნის ხალხია გასული არეალიდან. ხელისუფლება კი ისეთია, როგორსაც ვირჩევთ, რამდენის უფლებასაც ვაძლევთ. ეს არის კორუმპირებული ხელისუფლება, რომლის ერთადერთი მოტივია, ფული ქაფოს, სანამ ამის შესაძლებლობა ექნება. მეტი ამოცანა მათ არა აქვთ, ამიტომ ისინი მოქმედებენ თავიანთი გადმოსახედიდან ლოგიკურად. არალოგიკურად და დეპრესიულად იქცევა ქართველი საზოგადოება, რომელსაც, ვერ გავუგე, რა უნდა. საზოგადოების 70-80% აგინებს ამ მთავრობას და ცვლილებები უნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე ჩვენი საზოგადოების ძალიან მაღალი პროცენტი არის აპოლიტიკური და შემგუებელი, ანუ ის კრიტიკული მასა, რომელიც საჭიროა ხელისუფლების ცვლილებებისათვის და შემდგომში სისტემური ცვლილებებისთვის, აი, ეს მასა არ ჩამოყალიბდა.

– რატომ ვერ ჩამოყალიბდა?

– ამაზე, შეგვიძლია, ბევრი ვისაუბროთ, თუ რატომ ვერ ყალიბდება ამ ხელისუფლების ძლიერი ალტერნატივა, მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას დღეს არა აქვს სერიოზული წინააღმდეგობა ხალხის მხრიდან.

– რას იტყვით გახარიაზე? ისიც ვერ იქნება ამ ხელისუფლების ალტერნატივა?

– უნდა გაიზომოს ყველაფერი. ძალიან სუბიექტურია ჩვენი შეფასებები. ამას არჩევნები ზომავს, გახარია ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს, მაგრამ, რამდენია ეს ვიღაცა, ვისაც მოსწონს და რამდენია, ვისაც არ მოსწონს, ეს გამოჩნდება არჩევნებზე. მე ჩემს მაგალითზე გეტყვით, ძალიან ბევრი ადამიანი, სუფრაზე რომ მოვხვდები ხოლმე, სიყვარულს მიხსნის და ჩემს სადღეგრძელოებს სვამს, მაგრამ, როგორც არჩევნები აჩვენებს, ამდენი ადამიანი ხმას არ მაძლევს. გასაგებია, რომ გახარიას მიმართ სიმპათიები არსებობს, ამაზე ორი აზრი არ არის და იგივე მის ფოტოებზე ლაიქებიც ამაზე მოწმობს, მაგრამ, ეს ხალხი რამდენად მისი ამომრჩეველია, ეს გამოჩნდება სწორედ 2 ოქტომბერს.

– თქვენ რა პოზიცია გაქვთ, უნდა ჩატარდეს ამ სიტუაციაში არჩევნები?

– მე ვფიქრობ, რომ პირველ რიგში ამაზე პასუხი იმ ხალხმა უნდა თქვას, რომელსაც ეს პირველ რიგში ეხება, იმავე მუშკეტერების სამეულს. ჩემი დაკვირვებით, არჩევნები არ არის უფრო მეტი რისკის შემცველი, ვიდრე, მაგალითად, პლაჟებზე ხორხოცი და კიდევ ბევრი რაიმე. რეალურად მე რასაც ვუყურებ ვირუსის მართვას მთელ მსოფლიოში, დიდხნიან შეზღუდვებს პერსპექტივა მაინც არა აქვს. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. რასაკვირველია, ეკონომიკურ აქტივობასა და არჩევნებსაც ახლავს მომატებული რისკი ვირუსის გავრცელებისა, მაგრამ, მეორე მხრივ, შეზღუდვები დიდხანს ნიშნავს პირდაპირ სიკვდილს ეკონომიკისას და სახელმწიფოსას. საბოლოო ჯამში, როგორც ვხედავთ, უმრავლესობა ქვეყნებისა ეძებენ ფორმებს, რომ თან იცხოვრონ და თან ისეთი შეზღუდვები შემოიღონ, რომელიც უსაფრთხოს ხდის მათ საქმიანობას და, ამავდროულად, არ აჩერებს მათ.

– თანაცხოვრება უნდა ვისწავლოთ ვირუსთან, მაგრამ ჩვენთან ამ შეზღუდვებსაც რომ არავინ იცავს?

– კი, აუცილებელია ვისწავლოთ ვირუსთან ცხოვრება. სამწუხაროდ, არ იცავენ. დღეს უკვე ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ეს ე.წ. მუშკეტერები სინამდვილეში არც ისე კარგი პროფესიონალები ყოფილან, იმიტომ, რომ მართვა ზუსტად ეგ არის, მართო ისე, რომ არც ხალხი დაზარალდეს და არც ქვეყანა. აბა, მთელ ქვეყანას რომ ჩაკეტავ და გააჩერებ, მაგას რა დიდი სიბრძნე სჭირდება! გამოვა გამყრელიძე და იტყვის, ხალხი არ მიჯერებს და რა ჩემი ბრალიაო. იმიტომ არ გიჯერებენ, რომ ამბობ, არ მოაწყოთ მასობრივი ღონისძიებებიო და მერე შენ თვითონ რომ გარბიხარ ასკინკილით და ესწრები „ქართული ოცნების“ ყრილობებს, აი, ამიტომ არ გიჯერებენ! მართვა ეგ არის სწორედ, შენ უნდა აჩვენო მაგალითი!

– თუნდაც პრემიერის მაგალითი ბექაურის ღრეობაზე...

– რა თქმა უნდა, პრემიერის მაგალითიდან იწყება ყველაფერი და ვიცით ჩვენ, რომ ყველა ქვეყანაში, როდესაც რაღაც ასეთია გასაკეთებელი, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, პირველ რიგში პირველი პირები უნდა იძლეოდნენ ამის მაგალითს. ამისი მართვა ვერ მოახერხა ვერც მთავრობამ და ვერც ეპიდემიოლოგების გუნდმა.

– ძალიან მძიმე სიტუაციაშია ჯანდაცვა, უკვე საველე ჰოსპიტლებიც გახსნეს. არ ჰყოფნით მედპერსონალი, მით უმეტეს პროგნოზია, რომ კიდევ მოიმატებს ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი.

– მართალი გითხრათ, ყველაფერი იმდენად პოლიტიზებულია, რომ სიმართლის დაჯერება ძალიან ძნელია. რისი პრობლემაა, პერსონალი არ გვყოფნის, შენობები არ გვყოფნის, აპარატურა არ გვყოფნის?! ეს ვირუსი რომ ერთი თვის წინ გამოჩენილიყო, კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ სამი წელია, ამაზე საუბრობენ.

– რატომ არ მოემზადნენ ამ ხნის განმავლობაში?

– შეიძლება, ვინმემ მითხრას, შეუძლებელიაო, მაშინ უნდა დამისაბუთოს, რატომ არის შეუძლებელი. ძალიან ბევრი შენობა გვაქვს საქართველოში, სადაც შეიძლება მომხდარიყო ამ შენობების ადაპტაცია, მასშტაბური კლინიკებისთვის. აპარატურის მობილიზებაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა, რადგან 4 მილიარდით დაგვეხმარა საერთაშორისო ორგანიზაციები და რა, ეს თანხები საკმარისი არ იქნებოდა ამ ყველაფრის შესაძენად?! სად იყვნენ აქამდე, ახლა გაახსენდათ, რომ საავადმყოფოები საჭირო იქნებოდა?! ორი თვის წინ აცხადებდნენ, კოვიდი დავამარცხეთო. ცოტა არასერიოზულია ეს ყველაფერი. ამ ვირუსსაც ტალღები აქვს, ხან იკლებს და ხან იმატებს, სულაც არ არის მათი დამსახურება, როცა კლებას იწყებს.

– არჩევნების გადადებაზე ვსაუბრობდით და ხელისუფლებას არ აწყობს არჩევნების გადადება, ხალხი შეშინებულია, ნაკლები ადამიანი მივა არჩევნებზე და ეს მათ წისქვილზე ასხამს წყალსო. ასეა?

– სიმართლე გითხრათ, არჩევნების გადადებას დიდად არც ოპოზიცია ითხოვს და ზოგადად, ალბათ, აზრიც არა აქვს. ან როდემდე უნდა გადადონ, სულ ხომ არ გააუქმებენ არჩევნებს. როცა არ უნდა ჩაატარონ, რისკები ყოველთვის იქნება.

– ოპოზიციის ერთმა ნაწილმა მაინც გადაწყვიტა და ერთმანეთის კანდიდატებს უჭერენ მხარს. იმავე ფოთში საერთო კანდიდატი წარადგინეს გიგი უგულავას სახით. ძირითადად ნაცმოძრაობას მიჰყავს „პარადი“ დიდ ქალაქებში. რას იტყვით, რა შანსები აქვთ?

– არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს ოპოზიციას ცუდს ვუსურვებ, თუმცა ჩემი პოზიცია ასეთია, რომ ეს იყო დიდი და სტრატეგიული შეცდომა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა კანდიდატებთან დაკავშირებით შეთანხმდა მხოლოდ თავისი პარტიის ყოფილ წევრებთან. ვინც ერთად გამოდის, ხალხის თვალში კვლავ ნაციონალური მოძრაობაა. გიგი უგულავა სამჯერ გავიდა პარტიიდან და ოთხჯერ დაბრუნდა. უბრალო ამომრჩევლის თვალში უგულავაც ნაციონალია, ხოშტარიაც და ბევრი სხვაც. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ნაცმოძრაობის ამომრჩეველმაც არ მისცეს ხმა ამ კანდიდატებს, განსაკუთრებით იქ, სადაც გირჩები დააყენეს, მაგალითად. ერთ რაღაცას გეტყვით, ნაციონალური მოძრაობა ძალიან უსინდისოდ ექცევა საკუთარ ამომრჩეველს.

– რატომ, რას გულისხმობთ?

– ხმებს სთხოვს ძირითადად კონსერვატიულ ელექტორატს, თუნდაც იმავე ზვიადისტებს, ისინი არიან ძირითადი ელექტორატი და სიაში კანდიდატებად სვამს რესპუბლიკელებსა და გირჩებს. ბოკერია და ხოშტარია გამოიყენებენ ისევ ნაციონალების ხმებს და არჩევნების შემდეგ, ვიცით, ყველანი წავლენ თავიანთ გზაზე. რაც ელისაშვილმა გააკეთა თავის დროზე, ზუსტად იმავეს გააკეთებენ ესენიც. ნაცმოძრაობის ამომრჩეველიც უნდა დაფიქრდეს. რა, ღირსება არა აქვთ? თავი რატომ უნდა გამოაყენებინონ ვიღაცას?! სრული გარანტიით ვიცით, რომ ვისაც აქვს ნაცმოძრაობის ელექტორატის იმედი, 3 ოქტომბრიდან დაიწყებს თვითონ ნაცმოძრაობის ლანძღვას. ბევრი მათგანი, შესაძლოა, მთავრობასთანაც შევიდეს კავშირში. ამაზე თავად ნაცმოძრაობის ელექტორატი უნდა დაფიქრდეს.

– რას ელოდებით თბილისში, ვის შორის იქნება ძირითადად პაექრობა, კალაძე-მელიას შორის?

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ზაზა ხატიაშვილს, თუმცა, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ არიან სხვა კანდიდატები, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები მეორე ტურთან დაკავშირებით, თუმცა, მე ვფიქრობ, უკეთესი ალტერნატივის წარდგენა შეიძლებოდა, ვიდრე მელიაა და ასევე ის ხალხი, ვისთან ერთადაც მელია იქნა წარდგენილი. კი, გასაგებია და კარგად მესმის, ყველა თამაშობს ახლა იმაზე, რომ ხალხი ბიძინაზე გამწარებულია, მაგრამ, რაც არ უნდა გამწარებული იყოს ბიძინაზე, იმასაც აქვს მნიშვნელობა, ვის ირჩევ. რეალურად ოპოზიციის არც ერთი ფლანგი საკმაოდ სოლიდურად იმისთვის, რომ მოიპოვოს „ოცნებაზე“ მეტი ამომრჩეველი. ერთი მხრივ, „ოცნებას“ ყველა აგინებს და ყველა უკმაყოფილოა, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისეა საქმე, რომ ვინც „ოცნებას“ აგინებს, ოპოზიციას აქვს.

– გახარია არ ჩქარობს კანდიდატების წარდგენას. როგორ ფიქრობთ, თბილისში საკუთარ კანდიდატურას ხომ არ დაასახელებს?

– რეალურად ეს მისთვის ერთადერთი შანსია, იმიტომ, რომ სექტემბერში კამპანია ძირითადად წარიმართება თბილისის მერობის კანდიდატების გარშემო. ყოველთვის ასე ხდება ადგილობრივ არჩევნებზე და ახლაც ასე იქნება. თუ გახარია არ დააყენებს საკუთარ კანდიდატურას და არც სხვა ეყოლება ისეთი, რომ ყურადღება მიიქციოს, შესაძლებელია, გახარიას პარტია და თავად გახარია პროცესებისა და ყურადღების მიღმა დარჩეს გაგანია კამპანიის დროს. როგორც ყოველთვის, ახლაც თბილისი იქნება გადამწყვეტი.

„ყალბი კეკლუცობის დრო არ არის“

ფოთის მერობის კანდიდატად ოპოზიციამ გიგი უგულავა წარადგინა

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ფოთის მერობის საერთო კანდიდატად გიგი უგულავა წარადგინა.

უგულავა საზოგადოებას ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ წარუდგინა.

როგორც მელიამ აღნიშნა, გიგი უგულავა გამოცდილი პოლიტიკოსია და მან თბილისის მერობის დროს დედაქალაქი მნიშვნელოვნად წასწია წინ.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფოთში არის ძალიან გამოცდილი, მძიმეწონიანი პოლიტიკოსი, რომელმაც უდიდესი გამოცდილება მიიღო განვლილ წლებში. მისი მოწინააღმდეგეებიც, ბიძინა ივანიშვილიც კი ვერ უარყოფს, რომ თბილისი მნიშვნელოვნად, სასიკეთოდ წინ წასწია და ეჭვი არ მეპარება, იგივეს გააკეთებს ფოთში, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი. მაგრამ მანამდე რეფერენდუმში უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება. გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ხალხმა.

დავივიწყოთ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია. აღარაა ეს პარტიული ბრძოლა, ესაა საზოგადოების ბრძოლა. ჩვენ, როგორც საზოგადოების წევრები ამ ბრძოლაში სხვადასხვა ამპლუით ვართ ჩაბმული, – განაცხადა მელიამ.

სიტყვით გიგი უგულავაც გამოვიდა.

– არ არის ყალბი კეკლუცობის, კომპლექსების ტირაჟირების დრო, არამედ არის ბრძოლის, ბრძოლის და მხოლოდ ბრძოლის დრო! – განაცხადა მან.

როგორც უგულავამ აღნიშნა, მთავარი პრობლემა ოლიგარქიაშია.

– მთავარი პრობლემა თბილისშია, ივანიშვილშია. მთავარი პრობლემა ოლიგარქიაშია. ივანიშვილთან ერთად ჩვენ უნდა დავძლიოთ ყველაზე უფრო დიდი სენი, რომელიც ჩვენ შემოგვეყარა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, ეს არის ოლიგარქია, სადაც ერთი მუჭა ადამიანები მდიდრდებიან, დანარჩენი, მთელი საზოგადოება ღარიბდება. ოლიგარქიაში არავის აქვს შანსი, თუ მათ არ შეეკარი. ამიტომ არის ოლიგარქია კიბო.

მინდა ავხსნა ჩემი მოტივაცია. ძალიან ბევრი მეკითხება, ჩემს პოლიტიკურ გეგმებზე. რას აპირებ, ან რატომ მიიღე ეს გადაწყვეტილება, რატომ 5 ნომერი. როდესაც ჩვენ ვისაუბრეთ ჩემთან დაკავშირებით, რომ ფოთში უნდა წამოვსულიყავი, ნიკამ შემომთავაზა იქნებ ნეიტრალური ნომერი აიღო, რაზეც უარი ვთქვი, არ არის დრო ყალბი კეკლუცობის, არ არის დრო კომპლექსების ტირაჟირების, არამედ არის ბრძოლის, ბრძოლის და მხოლოდ ბრძოლის დრო. არ არის დრო გავარჩიოთ ეს ნომერი მინდა, ის ნომერი მინდა. სულ ერთია, ის ნომერი უნდა იყოს, რომელიც გამარჯვებას მოიტანს, ის ნომერი უნდა იყოს, რომელიც განვითარებას მოიტანს და დაამარცხებს ოლიგარქიას. იქნება ეს 5 ნომერი? იყოს 5 ნომერი, იქნება ეს სხვა ნომერი? იყოს სხვა ნომერი. მთავარია, ოლიგარქია დამარცხდეს, ფოთი გახდეს ავანგარდში, – აღნიშნა უგულავამ.

მისივე თქმით, ისინი ზეპარტიულ ბრძოლაში შედიან და ეს არის ბრძოლა „ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის დემონტაჟისთვის“.

– დღეს ისე, როგორც არასდროს, ზეპარტიულ ბრძოლაში შევდივართ. ეს ბრძოლა არ არის რომელიმე პარტიის ბრძოლა. ეს ბრძოლა არის დასაწყისი ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის დემონტაჟის, ოღონდ ისე, რომ ჩვენ არ დავანგრიოთ სხვა რამ, რაც სათუთია და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ისინი ბევრ სისაძაგლეს ჩაიდენენ, ამაში 100%-ით ვიყოთ დარწმუნებული, მაგრამ ჩვენი პასუხი უნდა იყოს სიმშვიდე, 2 ოქტომბერს რეფერენდუმზე გამარჯვება, – დასძინა გიგი უგულავამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თბილისს „ოცნება“ არაფრის ფასად არ დათმობს“

სოსო ცინცაძე: „თბილისში ის, რაც გახარიაზე ახსოვთ, რეგიონებში არ ახსოვთ, ამიტომ, სწორად იქცევა, რეგიონებში რომ დადის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, 2 ოქტომბრის არჩევნებზე რამდენად ელოდებით ელექტორატის აქტიურობას, არჩევნებზე ამომრჩეველი მივა?

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ხალხი არჩევნებზე მივა. ადმინისტრაციული რესურსი ყველა შემთხვევაში მივა, დაახლოებით 150 ათასამდეა. თუმცა, მიუხედავად ამ უჩვეულო სიჩუმისა, რომ საერთოდ არ იგრძნობა, ქვეყანაში ერთ თვეში რომ არჩევნებია, ამომრჩეველი მაინც თავის არჩევანს გააკეთებს. ისე, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება კოვიდსიტუაციაზეც, გადაივლის პიკი თუ არა?! თუ გადაივლის და მაჩვენებლები სერიოზულ კლებას დაიწყებს, ამ ფაქტს 100%-ით გამოიყენებს ხელისუფლება თავის სასარგებლოდ. ეს იქნება რეალობა, რომელსაც ვერავინ გაექცევა.

ამ არჩევნების მთავარი დატვირთვა არის იმაში, რომ ადგილობრივი არჩევნები გადამწყვეტ ფაქტორად იქცა, მომავალი არჩევნების განმსაზღვრელ ფაქტორად. კიდევ ერთი, სრულიად გამოვრიცხავ, „ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს დასთანხმდეს.

თითქოს ამ ფონზე „ოცნების“ საქმე კარგად არ უნდა იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, არსად ჩანს ოპოზიცია, მუხტი არ იგრძნობა, რაღაც აკლიათ, თითქოს ოპოზიციას გამარჯვების რწმენა აკლია. შთაბეჭდილება რჩება, რომ თვითონაც არ აქვთ გამარჯვების რწმენა და ვერც სხვას აჯერებენ.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზედმეტი მოლოდინების შექმნას ერიდებიან, რაც შემდეგ ამომრჩევლის იმედგაცრუებას იწვევს. მახსოვს, საპარლამენტო არჩევნების წინ როგორ ირწმუნებოდნენ გარდაუვალ გამარჯვებაში, მაგრამ როგორ დასრულდა ყველაფერი, ნათელია. სამწუხაროდ, ოპოზიციამ ვერ შექმნა ნათელი სურათი, თუ რა იქნება არჩევნების შემდეგ. გარდა ამისა, საუბრობენ კოალიციურ მთავრობაზე, მაგრამ უხსნიან მოქალაქეებს, რას ნიშნავს, რას გულისხმობს კოალიციური მთავრობა? კოალიციური მმართველობა ადვილად იშლება და ის მყიფე მმართველობაა. ამას ოპოზიციამ სერიოზული არგუმენტი არ დაუპირისპირა. არადა, ასეთი უამრავი არგუმენტის მოტანა შეიძლებოდა ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

– ვხედავთ, ოპოზიცია ცალკეა და ცალკეა გახარია. როგორ ფიქრობთ, რა დისონანსს შეიტანს ამ პროცესში გიორგი გახარია?

– თუ ვინმე შეიტანს ამ პროცესში დისონანსს, ეს ნამდვილად იქნება გიორგი გახარია. გახარიამ შეიძლება სიურპრიზი მოუწყოს ყველას – „ოცნებასაც“ და ოპოზიციასაც. მე ასეთ სიურპრიზს ველოდები. ბევრი ამომრჩეველია ისეთი, რომელიც ხმამაღლა არ ამბობს, რომ გახარიას მომხრეა. არჩევნებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა, რაც გახარიასთვის დიდი ვადაა. „ქართული ოცნებისთვის“ ერთი თვე არაფერი არ არის, რასაც ვერ ვიტყვი გახარიაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნელ-ნელა ის იკავებს ნანატრი მესამე ძალის ნიშას, რის საფუძველსაც მას თავისი ჩუმი მომხრეები აძლევენ.

– დაახლოებით რამდენ პროცენტს აიღებს, როგორია თქვენი ვარაუდი?

– 2-3% – ასეთი რიცხვები მის გასწვრივ გამორიცხულია. არ გამოვრიცხავ, ორნიშნა მაჩვენებლიანი შედეგიც კი დადოს. ახლა მისთვის მთავარია, არ დამარცხდეს. დამარცხება იქნება 2-3%-იან პარტიებთან გათანაბრება. მაშინ ის მთელ ამ მოლოდინს გაფლანგავს და ეს მისი სერიოზული მარცხი იქნება.

– ამ შემთხვევაში მესამე ძალაზე საუბარი ზედმეტია?

– რა თქმა უნდა! 2-3%-ის აღება იქნება მარცხი და იმის მაუწყებელი, რომ მომავალ პარლამენტში ვერ შევა, მაგრამ, თუ სოლიდურ მაჩვენებელს აჩვენებს და დაახლოებით 10%-ს აიღებს, ეს ნამდვილად იქნება ტრიუმფი ახალი პარტიისთვის. ეს უკვე რეალური მესამე ძალის ნიშანი იქნება.

– რამდენად სწორად მოქმედებს?

– ჯერ სწორად მოქმედებს, სწორი ტაქტიკა აქვს შერჩეული. ხმამაღლა არ ამბობს, რომ მთავრობას შეცვლის, ზედმეტი განცხადებებით არ გამოდის, ზედმეტადაც არ ჩანს, თითქოს თბილისში არც არის, რეგიონებშია გასული. ეს სწორი პოზიციაა მისი მხრიდან.

– რატომ? თბილისს „ოცნება“ არაფრის ფასად არ დათმობს.

– თბილისში ის მაინც თვალთხარიასთან ასოცირდება. იცის, რომ თბილისში დიდი პერსპექტივა არ აქვს და ფსონს რეგიონებზე დებს, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოზე და ეს სწორია.

– კანდიდატებს რომ არ აყენებს არც თბილისში, არც ზუგდიდში – ეს ამ ტაქტიკის ნაწილია?

– თბილისში ის, რაც გახარიაზე ახსოვთ, რეგიონებში არ ახსოვთ, ამიტომ იქ ბევრად უფრო თავისუფალია. სწორად იქცევა. იმ კანდიდატის დაყენება, რომელიც წინასწარ განწირულია, რა დივიდენდს მოუტანს?! არაფერს. თან, წინასწარ წაგებულ ომში ჩაბმას სიკეთე არავისთვის მოუტანია და არც გახარიას მოუტანს. გახარია თბილისზე არ „იქაჩება“, ამბობს, ჯანდაბას, „ოცნებამ“ და ოპოზიციამ უმტვრიონ რქები ერთმანეთსო, მაგრამ რეგიონებში აკრეფილი ხმები შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს მისი პერსპექტივისთვის. თან, თბილისელებიც ნელ-ნელა მის ცოდვებსაც წარსულს ჩააბარებენ. ამიტომ ეს პერიოდი გახარიასთვის ძალიან კომფორტული იქნება, ფინანსურადაც გაძლიერდება, სპონსორებიც გამოუჩნდება. რაც დრო გადის, „ოცნების“ რეიტინგის მატება გამორიცხულია. „ოცნებამ“ უნდა ილოცოს, მომავალ არჩევნებამდე ეს რეიტინგი შეინარჩუნოს. თუ ვინმე სურათს შეცვლის, ამის სერიოზული პრეტენზია გახარიას ექნება.

მეუფე გრიგოლი: „ექიმებში არსებობს ორაზროვანი განწყობები ვაქცინაციაზე“

„გამორიცხული არ არის, ის არსებობდეს სასულიერო პირებს შორისაც“

– როცა ექიმებში არსებობს დაბნეულობა და ორაზროვანი განწყობები, გამორიცხული არ არის, არსებობდეს სასულიერო პირებს შორისაც.

ამის შესახებ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ვაქცინაციის საკითხთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში უპირველესი მქადაგებლები მედიცინის მუშაკები არიან.

– იმ წესრიგს, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან ამ მძიმე დროში, ეპიდემიის გართულებულ ვითარებაში, რაც შემიძლია, ამასთან დაკავშირებით შევნიშნო, მრევლის მხრიდან შეგნებული დამოკიდებულებაა. ყველა ცდილობს, პირბადეში იყოს და დისტანცია დაიცვას – ხალხი ხედავს ნამდვილად საფრთხეს.

რაც შეეხება კამპანიას აცრებთან დაკავშირებით, ვხედავთ, რომ ძალიან მძაფრი აზრთა სხვაობა არსებობს, ახლა მთელი აქცენტები მოდის ეკლესიის მისამართით. მე ასე ვიტყოდი, რომ შეიძლება მთლად უსაფუძვლო არ იყოს ეს, მაგრამ თავიდათავი ამ აზრთა სხვაობის არის ის, რომ როგორც ჩვენ მქადაგებლები ვართ ქრისტეს სახარებისა, ასევე უპირველესი მქადაგებლები და მომწოდებლები ჯანდაცვის სისტემის მუშაკები არიან.

თვით სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებში არის აზრთა სხვაობა და ეს ძალიან დიდ დაბნეულობას იწვევს. ისეთ დაბნეულობას იწვევს, რომ სივრცეებს აჩენს სხვადასხვა სპეკულაციისთვის და ვინც ცდილობს, რომ საერთოდ რელიგიურ ჭრილში განიხილოს ეს ამბავი, მე ამას სერიოზულად არ შევხედავდი, მაგრამ გასაგებია. ისინი ვინც ეწინააღმდეგებიან და პირიქით, ემხრობიან ამ პროცესს, მოდით, ერთი ვთქვათ, რომ ყველას უნდა სიცოცხლე, უბრალოდ, ერთნი ხედავენ სიცოცხლის გადარჩენას აცრაში, მეორენი კი აუცრელობაში, – აღნიშნა მეუფე გრიგოლმა.

ფოთისა და ხობის ეპარქიის მმართველის თქმით, მაშინ როცა ვაქცინაციასთან დაკავშირებით ექიმებში არსებობს დაბნეულობა, რიგითი ადამიანისგან გასაკვირი არაფერია.

მისივე შეფასებით, „მხოლოდ ეკლესიაზე არ იქნება სწორი ჯოხის გადატეხა“.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ვითარება შეიქმნა და ეს ართულებს თვითონ მთლიანობაში ამ პანდემიასთან ბრძოლას, სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საუბარი არ იყო ვაქცინაზე, მაშინ საუბარი იყო ტაძარში წასვლა-არწასვლაზე, დისტანციაზე, მაშინაც კი გაიყო აზრები. ეპიდემიოლოგი, რომელიც ამ საკითხზე პროფესიონალურ აზრს უნდა აწვდიდეს, ამბობდა, რომ მე მოძღვარი როგორც მეტყვის, ისე მოვიქცევიო.

რიგითმა ადამიანმა, რომელიც მედიცინაში საერთოდ არ არის გარკვეული, რა ქნას და რა თქვას. ასე, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და მხოლოდ ეკლესიაზე არ იქნება სწორი ჯოხის გადატეხა. სამართლიანები უნდა ვიყოთ ყველა შემთხვევაში და, თავისთავად ცხადია, როცა ექიმებში არსებობს დაბნეულობა და ორაზროვანი განწყობები და გამორიცხული არ არის, არსებობდეს იმავე სასულიერო პირებს შორისაც.

პირადად მე დღემდე იმდენი ვაქცინა მაქვს გაკეთებული და ამის წყალობით გადავურჩი ალბათ ბევრ ისეთ დაავადებას, რომელსაც შეიძლება წაეღო ჩემი სიცოცხლე და გამონაკლისი არც დღევანდელობა არის ამ თვალსაზრისით, მაგრამ ვფიქრობ, რომ საჭიროა უფრო მეტი განმარტება, მეტი არგუმენტები, მეტი დამაჯერებლობა, თორემ არაპროფესიონალურად მოწოდება, რომ აიცერით, ხან ისეთი არგუმენტი ითქმება, რომ უმეცარ კაცსაც შეიძლება გაეღიმოს.

წარმატებას ვუსურვებ ჩვენს ჯანდაცვის სისტემას, რომ გაძლიერდეს და შეძლოს მართოს ვითარება ისე, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს არცერთი დაავადებული საერთოდ თავიდან ავირიდოთ ისეთი ტიპის გართულებები, რომელსაც მიაქვს ადამიანის სიცოცხლე.

ჩვენ დასაკარგი ადამიანები არ გვყავს, მიუხედავად იმისა, ერთი აზრისანი ვართ თუ არა. სხვადასხვა აზრი არსებობს მოქალაქეებს შორისაც, სასულიერო პირებს შორისაც და ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა, მთავარია, ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის ვიყოთ ერთნი ჩვენ და ამას მივაღწიოთ, – განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ვლადიმერ ზელენსკის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკისთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

მთავრობის მეთაური წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან საერთო ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და კონფლიქტის ეფექტურად და მშვიდობიანად მოგვარების მნიშვნელობის საკითხები განიხილეს.

„შესანიშნავი შეხვედრა მქონდა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკისთან, სადაც განვიხილეთ საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, საერთო ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და კონფლიქტის მშვიდობიანი და ეფექტიანი მოგვარების მნიშვნელობა.

საქართველო განუხრელ მხარდაჭერას უდასტურებს უკრაინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში“, – წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

„19 კვირის ორსული ვარ და დედაჩემმა ფაიზერით ამცრა“

19 კვირის ორსული ქალი, ხატია ბზიშვილი, სოციალურ ქსელში საკუთარი ვაქცინაციის ამსახველ ფოტოს აქვეყნებს და საზოგადოებას აცრისკენ მოუწოდებს.

„დღეს ავიცერი „ფაიზერით“ 19 კვირის ორსული. ქალი, რომელიც მიკეთებს აცრას, არის დედაჩემი. აცრა არ კლავს, აუცრელობა კლავს“, – წერს ხატია ბზიშვილი.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ორსულებს „ფაიზერით“ ვაქცინაციისკენ მოუწოდა.

– რატომ დაგვიანდა ორსულთა აცრა? ორსულთა აცრები ჯერჯერობით მხოლოდ 3 ვაქცინითაა დაშვებული. ეს არის „ფაიზერი“, „მოდერნა“, „ასტრაზენეკა“ და იქაც გაფრთხილებაა, რომ უნდა იყოს შეთანხმება ორსულს, ექიმსა და ოჯახს შორის. უნდა აეხსნას კარგად, რომ სწორედ აცრა იცავს. ჩინურ ვაქცინებს ჯერჯერობით უწერია, რომ არის ინაქტივირებული ვაქცინა. ზოგადად, ინაქტივირებული ვაქცინები კეთდება ორსულებში, არა კოვიდის, არამედ საერთოდ ამ პრინციპზე დამყარებული. მათ მაინც უწერიათ, რომ კვლევები არ არის ჩატარებული და წინააღმდეგ ჩვენებაშია, ამიტომ ჩვენ ორსულებს ჩინური ვაქცინით ვერ ავცრიდით.

ბევრი ჩემი კოლეგა, სამწუხაროდ, არ ურჩევდა და არ ურჩევს ორსულებს აცრებს, არადა, აუცილებელია, რომ ორსულები აიცრან. დღეს არის „ფაიზერის“ შესაბამისი მარაგი, რომ ისინი აიცრან. აუცილე-ბელია, რომ ისინი აიცრან, რადგან აცრა იცავს მათ. ორსულობისას მომატებული რისკია ყოველგვარი ინფექციური დაავადების და მათ შორის კოვიდისაც. გრიპზე ორსულთა აცრა აუცილებელია და ჩვენ მაქსიმალურად ვცრით. აუცილებელია, რომ ისინი აიცრან, ამ შემთხვევაში „ფაიზერით“ და მინდა, მოვუწოდო ორსულ ქალბატონებს, რომ აუცილებელია მათი აცრა“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

თბილისში ღამის კლუბი დახურეს

კოვიდრეგულაციების დარღვევის გამო თბილისში ღამის კლუბი დახურეს.

ადგილზე შრომის ინსპექციის თანამშრომლების გამოჩენას ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. კლუბის თანამშრომლები ამბობენ, რომ სახელმწიფომ ისინი შიმშილისთვის გაიმეტა.

– დაახლოებით ერთი საათის წინ მოითხოვეს ჩვენი უფროსის ნომერი მენეჯერისგან. მენეჯერმა უთხრა, ვკითხავ უფროსს, შეიძლება, არ სურს თქვენთან გასაუბრებაო. ამის შემდეგ, ნომერს არ მოგვცემთ და 20 წუთში მოვალთ და დაგლუქავთო და მართლა ასე გააკეთეს, – განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

საქართველოს პრემიერი „ყირიმის პლატფორმის“ სამიტში მონაწილეობს

მოხერხდება თუ არა საქართველოსა და უკრაინის ძალებისა და ინიციატივების გაერთიანება?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პრემიერის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში მხოლოდ პირველ პირებთან შეხვედრებითა და მოლაპარაკებებით არ შემოიფარგლება. ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობს „ყირიმის პლატფორმის“ დამფუძნებელ სამიტში.

სამიტი 23 აგვისტოს ტარდება. მასში სულ 44 სახელმწიფო მონაწილეობს, აქედან 14 – სახელმწიფოს მეთაურების დონეზე. აშშ-ის დელეგაციას სამიტზე ხელმძღვანელობს ჯენიფერ გელჰოლმი. უკრაინის ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ერთმა სახელმწიფომ რუსეთის ზეწოლით უარი თქვა სამიტში მონაწილეობაზე. ეს ქვეყანა არ სახელდება.

„ყირიმის პლატფორმა“ უკრაინის ხელისუფლების ინიციატივით ჩამოყალიბდა. ის გულისხმობს საერთაშორისო მექანიზმის შექმნას, რომელიც დააბრუნებს მსოფლიოს დღის წესრიგში რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის საკითხს და ხელს შეუწყობს ყირიმზე უკრაინის კონტროლის დაბრუნებას. სამიტზე დაგეგმილია დეკლარაციის მიღება.

საქართველოს საკუთარი ტერიტორიული პრობლემები აქვს. ივლისში საქართველოში სამუშაო ვიზიტად ჩამოსულმა უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო ერთიანი არიან თავიანთ ინიციატივებში დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მოედნებზე.

ივლისში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის პრეზიდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმში ევროკავშირის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე, სადაც დაისახა „ასოცირებული ტრიოს“ პერსპექტივები. თუ ამას გასაქანი მიეცა, თბილისი, კიევი და კიშინიოვი გააერთიანებენ ძალებს საკუთარი ტერიტორიული პრობლემების გადასაწყვეტად.

რუსეთი თავიდანვე აგრესიულად შეხვდა „ყირიმის პლატფორმის“ იდეას და მას „ანტირუსული შაბაში“ და „საფრთხე რუსეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის“ შეარქვა.

„ყირიმის პლატფორმის“ ძირითადი მიმართულებებია: ყირიმის რუსეთთან მიერთების არაღიარება; რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების გაფართოება და გაძლიერება; უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები; ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთთან მიერთების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური და ეკოლოგიური ცვლილებები.

სამიტი დაემთხვა რთულ პერიოდს, როცა საერთაშორისო ყურადღება გადართულია ავღანეთში მიმდინარე მოვლენებზე. ასევე მთავრდება „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაყვანა, რომლითაც რუსეთი გაზს მიაწვდის გერმანიას. ეს ძალიან მტკივნეულია უკრაინისათვის, რომელსაც ამ პროექტის ჩაშლის იმედი ჰქონდა. გერმანია უკრაინას ამის სანაცვლოდ კომპენსაციას ჰპირდება და აცხადებს, რომ გაზსადენს მაშინაც არ გააჩერებს, თუ რუსეთი უკრაინაში ომს დაიწყებს. თუ რუსეთი ამაზე წავა, გერმანიის განცხადებით, ევროკავშირი რუსეთს ახალ სანქციებს დაუწესებს.

სანქციების პოლიტიკას კრემლიც იყენებს. ამ დღეებში რუსეთმა სანქცირებული უკრაინელების სია 849-დან 922-მდე გაზარდა. მათ შორის მოხვდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი კულება, ასევე უშიშროებისა და თავდაცვის ეროვნული საბჭოს მდივანი ალექსეი დანილოვი.

ამავე დროს აშშ-მ სანქციები დაუდგინა რუსეთის კიდევ ორ მოქალაქესა და რუსულ გემს, რომლებიც ჩართული არიან „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაყვანაში.

აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, აშშ მუშაობს გერმანიასთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად იმაზე, რომ შეამციროს „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ით გამოწვეული რისკები უკრაინის, ნატოსა და ევროკავშირისათვის.

უკრაინელი დიპლომატები და ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უკრაინისათვის აუცილებელია „აშშ-ის საერთო წარმატება“, ვინაიდან რუსეთის შეკავება მხოლოდ ასე შეიძლება. ისინი ფიქრობენ, რომ წარუმატებლობა ავღანეთში კიევის ბედზეც იმოქმედებს.

რუსი პოლიტოლოგების აზრით, უკრაინელების შეშფოთება საფუძვლიანია. ისინი ამბობენ, რომ უკრაინის ახლანდელი ხელისუფლება ამერიკის მარიონეტია და თუ მათ ამერიკული მხარდაჭერა მოაკლდათ, მათ დაამხობენ.

დაახლოებით ასეთ მოსაზრებებს აღვივებენ პრორუსული ჯგუფები საქართველოშიც.

„ყირიმის პლატფორმამ“ კი რუსეთი აშკარად გააღიზიანა. რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის მეთაური სერგეი აქსიონოვი აცხადებს, რომ „ყირიმის პლატფორმას“ არანაირი ლოგიკა და საღი აზრი არა აქვს. ამ სამიტზე იკრიბებიან მოკავშირეები, რომლებიც აწყობენ ხრიკებს, თუ რა ზიანი უნდა მიაყენონ რუსეთს.

როგორც ჩანს, ეს სამიტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ უკრაინა და მასთან ერთად საქართველო აქტუალურია დასავლეთისათვის.

ნაციონალურმა მოძრაობამ მერობის კანდიდატების მეორე ნაწილი წარადგინა

გუშინ, 22 აგვისტოს, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მერობის კანდიდატების მეორე ნაწილი წარადგინა.

პარტიის ოფისში გამართულ ღონისძიებაზე კანდიდატები პარტიის ლიდერმა ნიკა მელიამ დაასახელა.

ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები იქნებიან:

სენაკი – კობა ნაყოფია;
ოზურგეთი – ირაკლი ღლონტი;
ჩოხატაური – ნონა სიხარულიძე;
წალენჯიხა – გია ხარჩილავა;
ჩხოროწყუ – ბადრი ქარჩავა;
ონი – ვაჟა ცეცაძე;
ცაგერი – მადონა ბენდელიანი;
წყალტუბო – ზაზა მეტრეველი;
ტყიბული – ბესიკ ზოსიაშვილი;
ბაღდათი – გიორგი რობაქიძე;
ხარაგაული – დავით მაღლაფერიძე;
საჩხერე – ირინე გრძელიშვილი;
ახალციხე – დავით ვალიაშვილი;
ახალქალაქი – მელიქ გარისიანი;
ნინოწმინდა – ავაკ მდოიანი;
ბორჯომი – გივი ჯობორდი;
დუშეთი – ღევან ღეკვეიშვილი;
თიანეთი – ილია არჩემაშვილი;
ყაზბეგი – იმედა შიოლაშვილი;
მარნეული – ელდარ მუსტაფაევი;
ბოლნისი – ვახტანგ ჩაგელიშვილი;
გარდაბანი – ბესიკ კახაბრიშვილი;
წალკა – რუსლან ხუციშვილი;
ყვარელი – ალექსანდრე მჭედლიშვილი.

ამასთან, ნაციონალური მოძრაობა მხარს დაუჭერს ოპოზიციის კანდიდატებს: ლაგოდეხში ზურაბ ჯაფარიძეს, თერჯოლაში ზურაბ ბუცხრიკიძეს, ჭიათურაში ნოდარ ჩაჩანიძეს, ლანჩხუთში ლია მუხაშავრიას, ხონში ზურა ჯიბუხაიას, მესტიაში – გეგი გულედანს.

სუსი ხაშურში გახარიას პარტიას უთვალთვალებს

დაშინება და შანტაჟი რეგიონებში – წინასაარჩევნოდ სუსი გააქტიურდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხაშურში გიორგი გახარიას წევრებს უთვალთვალებს. ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა „პირველებს“ ექსპრემიერის თანაგუნდელებმა მიაწოდეს.

ყოფილი პრემიერის გარემოცვა ირწმუნება, რომ მათ ოფისთან სუსის კუთვნილი ავტომობილი ხშირად დგას, რომელიც ოფისში შემსვლელ-გამომსვლელებს აკონტროლებს, რის შემდეგაც თითოეული მათგანზე შანტაჟს ახორციელებს და პარტიის დატოვებას აიძულებს. გახარიას თანაგუნდელები ამბობენ, რომ ზეწოლა იმ მოქალაქეებზეც მიმდინარეობს, ვისაც მათ პარტიაში გაერთიანება უნდა.

– დღიდან ოფისის გახსნისა, ჩვენს ოფისზე დაკვირვებას ახორციელებს ადგილობრივი სუს-ის წარმომადგენელი. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ის თავისი სამსახურებრივი მანქანით, რომელიც არის დაბურული, დგას ჩვენს ოფისთან, სავარაუდოდ, აკონტროლებს ჩვენს აქტივისტებს, ვინ მოდის, ვინ მიდის, იმახსოვრებს და შემდგომ ხდება სათითაოდ თითოეული ჩვენი აქტივისტის დაშინება, შანტაჟი, რომ ჩამოშორდეს ჩვენს პარტიას. საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან, – ამბობს გახარიას თანაგუნდელი.

ამირან გამყრელიძე: „სექტემბერში მილიონი აცრა უნდა ჩავატაროთ“

– ჩვენი წლევანდელი სამიზნე არის მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის ორჯერადად აცრა, ეს არის მილიონ 700 ათასი ადამიანი.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისი განმარტებით, როდესაც ვაქცინირებული მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობაც იკლებს.

– იმისთვის, რომ ეპიდსიტუაციის თვალსაზრისით ვითარების გაუარესება შევაჩეროთ, მოსახლეობის 30%-ის აცრა აუცილებელია. 30%-ზე უკვე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება ჩერდება, ხოლო 40%-ის შემთხვევაში, ახალი შემთხვევების რაოდენობა უკვე სერიოზულად იკლებს. აგვისტოში გავდივართ 650.000 აცრაზე და ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ სექტემბერში მილიონი აცრა ჩავატაროთ, ეს არ არის მილიონი ადამიანი, არამედ მილიონი აცრა, რადგან იცით, რომ ვაქცინა ორჯერადად კეთდება, – განაცხადა გამყრელიძემ.

დღეიდან იმერეთში მასობრივი იმუნიზაციის პირველი ცენტრი გაიხსნება

დღეიდან, 23 აგვისტოდან, იმერეთში მასობრივი იმუნიზაციის პირველი ცენტრი გაიხსნება.

ამის შესახებ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ დაავადებათა კონტროლის იმერეთის სამმართველოს ხელმძღვანელთან და ვაქცინაციის პროცესში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მასობრივი იმუნიზაციის ცენტრი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მოეწყობა და მოსახლეობას საშუალება ექნება, რეგისტრაციის გარეშე გაიკეთოს ვაქცინა.

საუნივერსიტეტო სივრცეში მობილიზებული ამცრელი ბრიგადები უზრუნველყოფენ დღიურად 1.000-დან 1.500-მდე ადამიანის აცრას. ადგილზე მისული მოქალაქეებისთვის ვაქცინაცია შესაძლებელია ფაიზერის, სინოვაკისა და სინოფარმის ვაქცინებით.

შეხვედრაზე გუბერნატორმა კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით აცრის მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი და კოვიდის მართვაში ჩართულ მედპერსონალს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა.

23 აგვისტოს, 10:00 საათიდან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსახლეობას ეძლევა საშუალება, რეგისტრაციის გარეშე ჩაერთოს ვაქცინაციის პროცესში.

რეგიონში უახლოეს დღეებში კიდევ ერთი მასობრივი იმუნიზაციის ცენტრი ზესტაფონში გაიხსნება.

თბილისში „გირჩის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი მეფე ჰერმან საბო იქნება



თბილისის საკრებულოს წევრობის საკითხზე „გირჩის“ შიდა პრაიმერისი დასრულდა. პარტიის ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პირველ ნომრად გირჩის სამეფოს მეფე, ჰერმან I საბო წარდგება.

პრაიმერისის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე ჰერმან საბო სიაში მეორე ადგილს იკავებდა, რასთან დაკავშირებითაც მეფემ სამეფოს წევრებისთვის მათი მხარდასაჭერის მოსაპოვებლად ვიდეომიმართვა ჩაწერა, საბოლოოდ კი პრაიმერისის დასასრულს გირჩის სიამ ასეთი სახე მიიღო:

1. ჰერმან საბო
2. როლანდ ნაჭყებია
3. ოთარ ზაკალაშვილი
4. გიორგი ჭიბოშვილი
5. ბორის სოლომონია

ირაკლი ზარქუა: „ტრაგედიაა, როდესაც ამდენი ადამიანის დაღუპვით ოპოზიცია მანიპულირებს“

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კოვიდ 19-ით გარდაცვალების რიცხვის ზრდაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ.

„ქართულ ოცნებაში“ დარწმუნებულები არიან, რომ ეს იმ კამპანიის გაგრძელებაა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სრულიად შემთხვევით გასაჯაროებულ პოსტში ეწერა.

– ტრაგედიაა, როდესაც ამდენი ადამიანი იღუპება და კიდევ უფრო მეტი ტრაგედიაა, როდესაც ამით შემდეგ ჩვენი ოპოზიცია მანიპულირებს. ამორალურია, როდესაც გარდაცვლილი ადამიანების სტატისტიკით ხდება ვაჭრობა და პოლიტიკური ქულების დაწერის მცდელობაა. ესაა ყოვლად მიუღებელი. წინასაარჩევნო პერიოდია, გასაგებია, მაგრამ ყველაფერი არ უნდა იკადრო, – განაცხადა ზარქუამ.

„მოკლულია და შემდეგ მოტანილი“

ამურ შველიძის თვითმკვლელობის საქმე თავდაყირა დგება

ბაკურიანში ბუნდოვან გარემოებაში გარდაცვლილი 25 წლის მამაკაცის ოჯახი შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდობლობას უცხადებს.

ამურ შველიძის ახლობლები ამტკიცებენ, რომ ახალგაზრდა მოკლეს და შემდეგ სუიციდის ინსცენირება მოაწყვეს. ოჯახს მტკიცებით, მამაკაცს ხელზე პრობლემა ჰქონდა და იარაღის გასროლას ვერ მოახერხებდა, როგორც ამას გომელაურის უწყება ამტკიცებს.

ამის გარდა, შველიძეების თქმით, გარდაცვალების დღეს ბაკურიანში წვიმდა, თუმცა ცხედარს არც ტალახის და არც სისხლის კვალი არ აღენიშნებოდა. მეტიც, დასახლებულ პუნქტთან ახლოს, სადაც მოგვიანებით შველიძის ცხედარი იპოვეს, გასროლის ხმა არავის გაუგია.

შველიძეს ერთი სასიკვდილო ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული. ის 11 აგვისტოს საკუთარ სახლთან იპოვეს.

დაღუპულის ოჯახის წევრების თქმით, გარდაცვალებამდე, ორი დღით ადრე 25 წლის კაცს 2 მამაკაცი შეხვდა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

მათი თქმით, კონკრეტული პირები ამურ შველიძეს 15 წლის არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ადანაშაულებდნენ და არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა სწორედ ამ მიზეზით მოხდა.

– მოკლულია და შემდეგ მოტანილი, იარაღი მას ისე ედო, რომ მას ასე ვერ დაიდებდა. არც სველი იყო, არც სისხლის კვალი ვიპოვეთ, ბალახიც კი არ იყო მოთელილი.

ჩემს შვილს ვიღაცა, 15 წლის გოგონას გაუპატიურებას აბრალებდა. ვინ არის არ ვიცი, არც მის მშობლებს ვიცნობ, – აცხადებს გარდაცვლილის მამა.

მისი თქმით, ამურ შველიძეს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ცივი იარაღითაც დაემუქრნენ.

– ჩემს რძალს უთხრა, მანქანაში ჩამისვეს და ყელზე დანაც კი მომადესო, ხელი დამარტყესო, – აღნიშნავს ამურ შველიძის მამა.

ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

რაც შეეხება 15 წლის გოგოს შესაძლო გაუპატიურების საქმეს, პოლიციაში მსგავსი შეტყობინება არ შესულა.

რამდენიმე დღის შემდეგ თვითმკვლელობად მონათლული მკვლელობის საქმე თავდაყირა დადგა – ამური შველიძის გარდაცვალების ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

სამართალდამცველებმა რეაგირება ოჯახის სკანდალური განცხადებების და ტვ პირველის რეპორტაჟების შემდეგ მოახდინეს.

ოჯახი ამბობს, რომ დამნაშავეების წრე უნდა გაიზარდოს, რადგან დანაშაულს მხოლოდ ერთი პირი ვერ ჩაიდენდა.

„ნიკას სიკვდილს გულწრფელად ნანობს“

ზვიადაურმა ციხიდან კენჭოშვილებს წერილი მისწერა

20 აგვისტოს ადვოკატები ბრალდებულ ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს შეხვდნენ.

ციხიდან ზურაბ ზვიადაურის ადვოკატებმა დაკავებული ჩემპიონის წერილი გამოიტანეს. ზურაბ ზვიადაური დაპირისპირებული მხრიდან მოკლულ ნიკა კენჭოშვილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

– მან მიუსამძიმრა კენჭოშვილების ოჯახს. თქვა, რომ მისი მდგომარეობა უკიდურესი იყო, თორემ არავის სიკვდილი, არავის გაუბედურება და არავის დაზიანება არ სურდა. გულწრფელად განიცდის, გულწრფელად ნანობს, ისევე, როგორც გული შესტკივა თავის ძმისა და თავისი ახლობლის სიკვდილზე, ისე სტკივა გული მას ახალგაზრდა ბიჭის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იყო და ისევ იმავე პოზიციაზეა.

მოწმეებს ჩვენს გამოვკითხავთ, ვიმუშავებთ ამ მიმართულებით იმისათვის, რომ რეალობა დადგინდეს იმიტომ, რომ არ არის ჯერჯერობით მოწმეთა ბაზა ამოწურული და დაკითხული ყველა. დავეხმარებით გამოძიებას მოწმეთა ბაზის დადგენაში, მტკიცებულების მოძიებაში და დადგენაში, – აცხადებს ადვოკატი ტარიელ მურმანიშვილი.

ზურაბ ზვიადაურის ადვოკატების განცხადებით, ოლიმპიური ჩემპიონის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და შესაძლოა, მას ჰოსპიტალიზაცია დასჭირდეს.

ზურაბ ზვიადაურის უფლებადამცველებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და პატიმრობის გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართეს.

„მოვკვდები აქ, მიშველეო“

სატელეფონო ზარი საპატიმროდან

ლანჩხუთელი პატიმრის ლაშა ცინცაძის და ამბობს, რომ მისი ძმა ციხეში გაუსაძლის მდგომარეობაშია. ლიკა ცინცაძე ტვ პირველთან ყვება, რომ ბოლო სატელეფონო საუბარში ძმამ მას დახმარება სთხოვა.

მისი თქმით, მსჯავრდებული უდანაშაულოა და ციხეში სასჯელს პროკურორის შეკერილის საქმის გამო იხდის.

ოჯახის წევრი ასევე, ამბობს, რომ მის ძმას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს. ლაშა ცინცაძეს ეპილეფსია აქვს და ეტლით სარგებლობს.

ოჯახმა სახალხო დამცველს დახმარების თხოვნით უკვე მიმართა.

– თავის ძმაკაცებს დაუდგა, რაღაც სასამართლოში ჰქონდათ საქმე და მოწმედ ჰყავდათ ჩემი ძმა, მაგის გამო ჩაუჯინდა პროკურორი და უდანაშაულოდ დააკავა ჩემი ძმა. მერე გამოვიყვანეთ გირაოთი, 5.900 ლარი შევიტანეთ, ორი წელი და ორი თვე გვატარეს სასამართლოებზე, მერე დააკავეს და მისცეს 4 წელი.

ახლა ძალიან მძიმე სიტუაცია აქვს, ძალიან რთულადაა და არ მინდა, რომ მოკვდეს ციხეში ჩემი ძმა. შიმშილობს ჩემი ძმა, ერთი ათი დღეა, რაც შიმშილობს და არც კი შემხმიანებია. არც ვიცი მაგის ადგილსამყოფელი. ერთი კვირის წინ დამირეკა, დამეხმარონ, მოვკვდები აქ, მიშველეო, – ამბობს პატიმრის და.

რაჭაში 22 წლის ბიჭი ვალის გამო დაჭრეს

რაჭაში 22 წლის ბიჭი დაჭრეს. დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას ოპერაცია ჩაუტარდა.

ახალგაზრდას ჭრილობა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

შემთხვევა 21 აგვისტოს ამბროლაურში მოხდა.

დაჭრილი მამაკაცი მევალეა, თავდამსხმელებს კი მისი ვალი აქვთ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით 2 პირია დაკავებული, დაჭრაში ბრალდებულის დაკავების მიზნით კი საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

შრომის ინსპექციამ „სანსეტ ბათუმი“ დახურა

შრომის ინსპექციის სამსახურმა 21 აგვისტოს, საღამოს, „სანსეტ ბათუმი“ დალუქა.

უწყების ცნობით, ადგილზე ფართომასშტაბიანი გასართობი ღონისძიება მიმდინარეობდა. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების კრიტიკული შეუსაბამობების გამო, შრომის ინსპექციამ ობიექტის დალუქვის გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლო 48 საათის განმავლობაში შრომის ინსპექციის მიერ ეს მესამე დალუქული ობიექტია. ჯამში, ერთ კვირაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 18 ობიექტი დაილუქა.

შრომის ინსპექციის სამსახური საზოგადოებას დაწესებული რეკომენდაციების დაცვისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარების შესახებ აფრთხილებს.

სარეკლამო ბანერს აკრავდა და ჩამოვარდა

ბათუმში მამაკაცი დაიღუპა

21 აგვისტოს ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე, მშენებარე კორპუსიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვარდა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას მამაკაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი სარეკლამო ბანერის განთავსებისას დროს ჩამოვარდა.

– შრომის ინსპექციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული მოკვლევისას მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტზე სამუშაო პროცესების შეჩერების შესახებ. უბედური შემთხვევის გამომწვევი უშუალო მიზეზი მოგვიანებით გახდება ცნობილი, – აცხადებს შრომის ინსპექციის თანამშრომელი გიორგი ჭალელიშვილი.

კომპანიაში კი ამბობენ, რომ გარდაცვლილს მხოლოდ საოფისე საქმიანობა ევალებოდა და არავინ იცის, უბედური შემთხვევის ადგილას რატომ აღმოჩნდა. ადგილზე უკვე იმყოფებოდა შრომის ინსპექცია.

– არავის ჰქონდა ინფორმაცია, რატომ იყო იქ – მას არ ევალებოდა იქ განსახორციელებელი არანაირი საქმიანობა. საოფისე საქმე ევალებოდა ამ ადამიანს, ეს არის ვინდოუსის გადაყენება და პროგრამული ნაწილი. ამ დროს არაფრის მონტაჟი არ მიმდინარეობდა, მონიტორი დიდი ხნის დამონტაჟებულია და მას არანაირი ხარვეზი არ ჰქონდა, – აცხადებს კომპანიის იურისტი ესმა ჩოგაძე.

სარფში მიკროავტობუსიდან ჰეროინი ამოიღეს

1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1979 წელს დაბადებული ო.გ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ ტერიტორიაზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ო.გ.-ის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო მიკროავტობუსის შემოწმების შედეგად, აღნიშნული ტრანსპორტის სალონში დამალული, ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ახალციხეში სატვირთო მსუბუქ მანქანას შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 21 აგვისტოს ახალციხეში – სოფელ აგარაში ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და სატვირთო შეეჯახნენ.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა 1 ადამიანი.

შსს-მ გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

ფოთში მერსედესმა ქალი და მამაკაცი გაიტანა

ფოთში 21 აგვისტოს, გვიან ღამით, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, მაღალი სიჩქარით მოძრავი მერსედესის მარკის ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცს იმ დროს დაეჯახა, როდესაც ისინი ქუჩის გადაკვეთას ცდილობდნენ.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ქალი მრავლობითი პოლიტრავმით – სენაკში კლინიკა „სენამედში“, მამაკაცი კი თავის ქალის ტრავმით ბათუმში სამედიცინო ცენტრ BMC-ში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, ორივე პაციენტის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები.

სარფში მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს სხმულები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფის“ კონტროლის ზონაში სხვადასხვა წონის არადეკლარირებული ოქროს ზოდები (7 ცალი და 1 ცალი ოქროს სამაჯური) საერთო წონით: 60 გრამი გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ს.კ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, საქამრეში მოწყობილ სპეციალურ სამალავში, არადეკლარირებული ოქროს სხმულები და სამაჯური აღმოაჩინეს.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 12.034,8 ლარი შეადგინა.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

გრიგოლეთში 40 წლის მამაკაცი დაიხრჩო

21 აგვისტოს გრიგოლეთში ზღვაში 40 წლამდე კაცი დაიხრჩო.

ის წყლიდან მაშველებმა ამოიყვანეს. ადგილზე მოვიდა სასწრაფო, კაცს ჩაუტარდა ხელოვნური სუნთქვა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ისრაელმა ღაზის სექტორში ჰამასის 4 ობიექტი დაბომბა

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 22 აგვისტოს, გამთენიისას, პალესტინური მოძრაობა ჰამასის ოთხ ობიექტზე, ღაზის სექტორში, დარტყმა განახორციელეს. ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის არმიის პრესსამსახური იუწყება.

ამავე ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ობიექტები განკუთვნილი იყო იარაღის წარმოებისთვის და მის შესანახად. ეს იყო პასუხი საზღვარზე მომხდარ შეტაკებაზე, რომელიც 21 აგვისტოს, ღამით მოხდა.

არმიის ცნობით, განაგრძობენ რეაგირებას ღაზის სექტორის ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით და მიიჩნევენ, რომ ჰამასი პასუხისმგებელია ნებისმიერ მსგავს აქტიურობაზე.

– ჰამასი განაგრძობს ღაზის სექტორის სვლას ტერიტორიისკენ, რისთვისაც იყენებს სამოქალაქო მოსახლეობას. მიღებულია გადაწყვეტილება, გაიგზავნოს დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფები ღაზასთან მდებარე დივიზიის გასაძლიერებლად. არმია მზად არის ამ რაიონში სიტუაციის ნებისმიერი განვითარებისთვის, – განაცხადეს ისრაელის თავდაცვის არმიაში.

მათივე ინფორმაციით, პალესტინელებთან შეტაკებისას, 21 აგვისტოს, ისრაელის ერთი მესაზღვრე დაიჭრა.

„ასობით პალესტინელი დემონსტრანტი შეეცადა, გაერღვია უსაფრთხოების ღობე სექტორის ჩრდილოეთით. ისინი ისროდნენ ასაფეთქებელ მოწყობილობებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ტრამპმა ბაიდენს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა

ავღანეთში შექმნილ სიტუაციას უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა მთელ მსოფლიოში. თავად აშშ-ში კი ბაიდენს ყველა (მათ შორის მისი თანაპარტიელებიც) აკრიტიკებს. ისინი აღნიშნავენ, რომ აშშ-ის ჯარის გამოყვანა ასე უცებ არ უნდა მომხდარიყო, მით უმეტეს, რომ საამისოდ არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა.

აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ტრამპმა ბაიდენს მიმართა და შექმნილი სიტუაციის გამო ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

– ის, რაც ავღანეთში ვიხილეთ, კაპიტულაციაა და სხვა არაფერი! მისტერ ბაიდენმა ამის გამო მთელ ერს ბოდიში უნდა მოუხადოს! – თქვა ტრამპმა.

საბერძნეთმა თურქეთის საზღვარზე 40 კმ-იანი ბარიერი აღმართა

საბერძნეთმა, ავღანეთიდან მიგრანტების ზრდის ფონზე, თურქეთთან საზღვარზე 40-კილომეტრიანი ბარიერი აღმართა და სათვალთვალო სისტემა დაამონტაჟა.

– ჩვენ არ შეგვიძლია, პასიურად დაველოდოთ შესაძლო შედეგს. ჩვენი საზღვრები დაურღვეველი დარჩება, – განაცხადა საბერძნეთის მოქალაქეთა დაცვის მინისტრმა მიხალის ხრისოხოიდისმა.

მანამდე თურქეთმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, ავღანელ მიგრანტებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა აიღონ.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კირიაკოს მიცოტაკისთან სატელეფონო საუბრისას თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ავღანეთიდან წასული ადამიანების მკვეთრი ზრდა შეიძლება „სერიოზულ გამოწვევად იქცეს ყველასთვის“.

– მიგრაციის ახალი ტალღა გარდაუვალია, თუკი ავღანეთსა და ირანში აუცილებელ ზომებს არ მიიღებენ, – განაცხადა ერდოღანმა.

მსოფლიოს პატრიარქი კიევში ჩავიდა

უკრაინის დედაქალაქში მსოფლიოს პატრიარქი ბართლომეუსი ჩავიდა. კიევის აეროპორტში მას უკრაინის პრემიერი შმიგალი დახვდა.

ბართლომეუსმა მას მადლობა გადაუხადა.

– მადლობელი ვარ, რომ კვლავ უკრაინის მიწაზე ვიმყოფები და საშუალება მაქვს, თქვენი სტუმართმოყვარე ერი პირადად დავლოცო, – თქვა ბართლომეუსმა.

ამის შემდეგ შედგა პატრიარქის შეხვედრა ზელენსკისთან.

მხარეებმა განიხილეს უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა, რუსეთ– უკრაინის ომით გამოწვეული სიძნელეები და ა.შ.

ჰაიტიზე მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 2.200-მდე გაიზარდა

კუნძულ ჰაიტიზე მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 2.200-მდე გაიზარდა.

14 აგვისტოს მომხდარი 7,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად დაშავებულთა რაოდენობა 12.200-ს აღემატება.

დანგრეულია 53 ათასამდე სახლი, 77 ათასამდე კი დაზიანდა.

მიწისძვრის ბიძგების საშიშროების გამო მოქალაქეების დიდი ნაწილი ღამეს გარეთ ათევს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა გაქცეული ცოლის შესარიგებლად ორი მანქანა გაიტაცა

თურქეთის ქალაქ ადანის მკვიდრმა ორი პიკაპი გაიტაცა იმის იმედით, რომ გაქცეულ ცოლთან ჩავიდოდა და სამართალდამცავების ხელში ჩავარდა.

ცოლი თავის 32 წლის ქმარზე განაწყენდა და ქალაქ კონიაში გაემგზავრა. მამაკაცმა მასთან შესარიგებლად ჩასვლა გადაწყვიტა, მაგრამ არც სამგზავრო ფული აღმოაჩნდა და არც სატრანსპორტო საშუალება. მაშინ მან მანქანის გატაცება გადაწყვიტა.

მან თავისი სამი მეგობრის მხარდაჭერის იმედი მიიღო. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე მეგობრებმა პიკაპი შეათვალიერეს და შესაფერის მომენტს დაუცადეს. როდესაც შორიახლოს არავინ იყო, მანქანა მიწოლით აამუშავეს და გაიტაცეს. მათ ავტომობილი

ჯართის ჩამბარებელს მიუყვანეს და 5,5 ათას ლირად მიჰყიდეს. ფულის დანახვაზე ქალის ქმარს ცოლი საერთოდ გადაავიწყდა და მეგობრებთან ერთად მთელი თანხა გასართობ დაწესებულებებში გაანიავა.

შემდეგ თურქმა კიდევ ერთი ავტომობილის გატაცება გადაწყვიტა, რათა ცოლთან მაინც ჩასულიყო. ამ ჯერზე ერთ-ერთმა მეგობარმა დახმარებაზე უარი განაცხადა, ასე რომ, საქმეზე სამნი წავიდნენ. გამტაცებლებმა მანქანის გასაღები მოიპარეს და მის სალონში საკრედიტო ბარათი და პიკაპის მფლობელის მართვის მოწმობა იპოვეს. მათ ბანკის კლიენტების მხარდამჭერ სამსახურში დარეკეს და ბარათის პინ-კოდი შეაცვლევინეს, რისთვისაც ერთ-ერთმა მათგანმა ალტერნატიული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის სახით მეგობარი გოგონას ტელეფონის ნომერი უკარნახა.

როდესაც მათ მიერ მითითებულ ნომერზე ახალი პაროლი მოვიდა, მეგობრებმა ბარათიდან ათასი ლირა მოხსნეს და კონიაში გაემგზავრნენ, ამ დროს კი მანქანების პატრონებმა მათი გატაცების თაობაზე პოლიციაში განაცხადეს. სამართალდამცავებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები გააანალიზეს და სამივე მამაკაცი იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც მათ გატაცებულ პიკაპში ეძინათ. მათ ასევე დააკავეს მეოთხე პირიც, რომელიც პირველი მანქანის გატაცებაში მონაწილეობდა და ჯართის ჩამბარებელი, რომელმაც მათგან პიკაპი შეიძინა.

გულმავიწყობის გამო მამაკაცი კინაღამ მოგების გარეშე დარჩა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ნახევარკუნძულ კეიპ-კოდის მკვიდრი საკუთარი გულმავიწყობის გამო კინაღამ ლატარიის მსხვილი მოგების გარეშე დარჩა და მოგებული თანხა პრიზის გაცემის ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე მიიღო.

ლეონარდ ტომასმა ბილეთი ავტოგასამართ სადგურზე შეიძინა და შემდეგ საერთოდ გადაავიწყდა. გარკვეული დროის შემდეგ მამაკაცმა რადიოში მოისმინა, რომ მის რეგიონში მალე ვადა გაუვიდოდა მომგებიან ბილეთს, ვინაიდან მისი მფლობელი მოგების მისაღებად ლატარიის გათამაშების ოფისში არ მიდიოდა.

– სპეციალური საქაღალდე მაქვს, სადაც ბილეთებს ვინახავ. როდესაც გავიგე, რომ მალე ბილეთი ძალას დაკარგავდა, ჩემს ბილეთებს თვალი გადავავლე და ვიპოვე მითითებული თარიღის ბილეთი. ის მაღაზიაში შევამოწმე და მისმა თანამშრომელმა მითხრა, რომ მოგების მისაღებად ლატარიის შტაბ-ბინაში უნდა მივსულიყავი, – განაცხადა ტომასმა.

ამერიკელის ბილეთში გათამაშებაში ამოსულ რიცხვებს ხუთიდან ოთხი დაემთხვა, ხოლო მისმა მოგებამ 500 ათასი დოლარი შეადგინა.

ტომასი ლატარიის შტაბ-ბინაში თავის ძაღლ მარაიასთან ერთად ბილეთის ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე მივიდა და მოგებული თანხა მიიღო. მისი თქმით, მოგებული ფულით ის სახლის ან კოტეჯის ყიდვას გეგმავს.

ნახატი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, გარდაცვლილი ქალის ბინაში იპოვეს

იტალიელი მხატვრის ჯოვანი ანტონიო კანალიას ნახატი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, ინგლისის აღმოსავლეთ სუსექსის საგრაფოს ქალაქ ლიუისში მცირე ხნის წინ გარდაცვლილი ქალის სახლში აღმოაჩინეს..

შემფასებლები მუშაობდნენ გარდაცვლილის სახლში და გადააწყდნენ კედელზე დაკიდებულ სურათს. აღმოჩნდა, რომ ეს იყო კანალიას, რომელიც ასევე კანალეტოს სახელითაცაა ცნობილი, ტილო, სახელწოდებით „ვენეცია, დოგანის კონცხი წმინდა მარკის აუზის მხრიდან“ და რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. მასზე გამოსახულია ძველი საბაჟო შენობა დოგანა-და-მარი. სავარაუდოდ, სურათი XVII საუკუნეშია დახატული.

სახლის პატრონის დედამ ნახატი 1920 წელს შეიძინა. აუქციონის სახლში ფიქრობენ, რომ გარდაცვლილი ქალისთვის ცნობილი იყო მხატვრის ვინაობა, მაგრამ ნახატის გაყიდვა არ მოისურვა.

აღნიშნულ სურათს აუქციონზე გასაყიდად 28 სექტემბერს გამოიტანენ. ვარაუდობენ, რომ მისი ფასი 200 ათას დოლარამდე იქნება.

ბანდიდან წასული ყოფილი განგსტერი საავადმყოფოში მოეწყო და სახელი გაითქვა

აშშ-ში განგსტერმა ბანდა მიატოვა, საავადმყოფოში მედმამად დაიწყო მუშაობა და ტიკტოკში სახელი გაითქვა. საკუთარი ისტორია მან ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას გააცნო.

28 წლის ენრიკე როდრიგესი ნიუ-ჯერსის შტატიდან ბანდაში 2009 წელს მას შემდეგ მოხვდა, რაც მისმა უფროსმა ძმამ ციხეში ამოყო თავი.

– განგსტერული ცხოვრება წმინდა წყლის მანიპულაციაა. ისინი ისეთ სახეს იღებენ, თითქოს შენზე ზრუნავენ, გიცავენ, მაგრამ სინამდვილეში, უბრალოდ, გიყენებენ, რათა თავად არ გაისვარონ ხელები, – განაცხადა როდრიგესმა.

ის ბანდის წევრი სამი წლის განმავლობაში იყო, თუმცა 2012 წელს მან შეურაცხყოფა მიაყენა ე.წ. ხელშეუხებელს და კონკურენტი დაჯგუფების წევრებმა დედამისის მოკვლა ცადეს. მათ, სანამ პოლიციაში ამოყოფდნენ თავს, ქალზე ორი თავდასხმის მოწყობა მოასწრეს.

კონკურენტების წარუმატებლობა როდრიგესმა ზეციურ ნიშნად ჩათვალა.

– ბევრი ცუდი საქციელი ჩავიდინე, ვურთიერთობდი ბევრ ცუდ ადამიანთან და, უბრალოდ, მადლიერი ვარ ღმერთის იმისთვის, რომ მეც და ჩემი ოჯახიც დაგვიფარა, – განაცხადა როდრიგესმა.

ამერიკელი ბანდიდან წამოვიდა და საავადმყოფოში დამლაგებლად მოეწყო, ერთი წლის შემდეგ სწავლების კურსი გაიარა და მედმამად დაიწყო მუშაობა.

– ვიცი, რომ ღმერთს სურს, ისევე ვიზრუნო სხვა ადამიანებზე, როგორც მან იზრუნა ჩემზე, ხოლო ამისთვის იმაზე უკეთესი ადგილი, ვიდრე საავადმყოფოა, არ არსებობს, – აღნიშნა ყოფილმა განგსტერმა.

მეთევზემ წყალში ზვიგენის მაგივრად შველი დაიჭირა

ინგლისის დორსეტის საგრაფოს ქალაქ უეიმუტის მახლობლად შკიპერსა და მეთევზე მარკ ბოუდიჩს წყალში მოცურავე შველი ზვიგენი ეგონა და დაიჭირა.

შკიპერი ოჯახისთვის წყალზე ექსკურსიას ატარებდა და თევზაობდა. ნავის გემბანზე იმყოფებოდნენ ნატაშა და მორგან ლოიდები ბავშვებთან ერთად. უცბად ბოუდიჩმა წყალში რაღაც ზურგის ფარფლის მსგავსი შენიშნა.

– თავიდან ვიფიქრე, რომ დელფინი იყო, შემდეგ ვივარაუდე, რომ ის შესაძლოა უზარმაზარი ზვიგენი ყოფილიყო, რომელიც პირდაღებული დაცურავს პლანქტონის გადასაყლაპად, – განაცხადა შკიპერმა.

ბოუდიჩმა ექსკურსანტებს ჰკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდნენ ფარფლთან ახლოს მიცურვისა და იმის სანახავად, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. როდესაც არსებასთან ახლოს მიცურეს, აღმოჩნდა, რომ ის შველი იყო, ხოლო ზურგის ფარფლებად მისი დაცქვეტილი ყურები მიიჩნიეს. გემის კაპიტანმა მორგანს ცხოველის გადარჩენაში დახმარება სთხოვა.

მამაკაცმა ცხოველს კისერზე თოკის ყულფი გადააცვა და შველი ნავზე აიყვანეს. როგორც კი ცხოველი გემბანზე აღმოჩნდა, თავი ვერ შეიმაგრა და ღონემიხდილი დაეცა. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ნავი ნაპირისკენ მიცურავდა, მორგანი შველს ეფერებოდა და მის დამშვიდებას ცდილობდა.

ხმელეთზე გადასვლის შემდეგ ცხოველი ისეთ ტერიტორიაზე გაუშვეს, სადაც ხეები იზრდებოდა.

– შველმა 20 მეტრი გაიარა, შემდეგ უკან მობრუნდა. ის ჩემთან მოვიდა და მე ხელის გადასმა დავუწყე ისე, როგორც ამას ძაღლის მოფერების დროს ვაკეთებ. დავარწმუნე, რომ ახლა უკვე ყველაფერი კარგად იყო, ზურგზე ხელი დავუტყაპუნე და წავიდა, – აღნიშნა ბოუდიჩმა.

სახლის პატრონმა 100 წლით სხვენში ჩაკეტილ ძვირფას ნივთებს მიაგნო

მე-20 საუკუნის დასაწყისის უიშვიათესი ფოტოსურათები იქნა აღმოჩენილი ამერიკის ნიუ იორკის შტატის ქალაქ ჟენევაში მდებარე სახლის აჭედილ სხვენში და მათ აუქციონზე გაიტანენ გასაყიდად.

2020 წლის დეკემბერში იურისტმა დევიდ უიტკომბმა ძველი სამსართულიანი შენობა შეიძინა, რათა იქ საკუთარი ფირმის ოფისი განეთავსებინა. ბოლო სართულის ერთ-ერთი სათავსოს შემოწმებისას მან აღმოაჩინა, რომ შეკიდული ჭერის ქვეშ სხვენში ასასვლელი იყო დამალული, რომლის არსებობა უცნობი იყო როგორც თავად მისთვის, ისე მისი ყოფილი მფლობელისთვის.

სხვენში მთელი ფოტოსტუდია აღმოჩნდა, რომელიც მინიმუმ 100 წელი მაინც ეწყო ხელუხლებლად. უიტკომბმა ასობით ღირებული ნივთი იპოვა, მათ შორის დასაბეჭდად გამზადებული ფოტოგრაფიული ფირფიტები. წერილებსა და ამანათებზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით ისინი ფოტოგრაფ ჯეიმს ელერი ჰეილის ეკუთვნოდა, რომელიც ჟენევაში 1892 წლიდან 1920 წლის ჩათვლით მუშაობდა.

ექსპერტების შეფასებით, ნაპოვნი ნივთების ჯამური ღირებულება 100 ათას დოლარს შეადგენს. განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს ჰეილის მიერ 1905 წელს გადაღებული ცნობილი სიუზენ ენტონის პორტრეტი. აქამდე ითვლებოდა, რომ მისი მხოლოდ სამი ორიგინალური ფოტოსურათი იყო შემორჩენილი, უიტკომბმა კი მეოთხე იპოვა. მისი სასტარტო ფასი აუქციონზე ხუთი ათასი დოლარი იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მემფის დეპაი: „მოურინიომ შანსი არ მომცა“

ბარსელონის ნიდერლანდელი შემტევი მემფის დეპაი ერთ-ერთ ესპანური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში იუნაიტედში გატარებულ დროს იხსენებს და აცხადებს, რომ „წითელ ეშმაკებში“ შანსი არ მისცეს.

მემფის დეპაი:

– ბევრს ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ წარიმართა ყველაფერი ცუდად. პირველ სეზონში ადაპტაცია მჭირდებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც პსვ-ში. ცოტაოდენი თვითდაჯერება დავკარგე, ამის შემდეგ კი ვან გაალმა და მისმა სამწვრთნელო შტაბმა ჩემ მიმართ ნდობა შეასუსტეს. ეს არ იყო ადვილი გადასატანი.

მომდევნო სეზონში ვიგრძენი, რომ გამოცდილება შევიძინე, თუმცა ამ დროს გუნდში ახალი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მოვიდა, ძირითად შემადგენლობაში საკუთარი ადგილისათვის ვიბრძოდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჟოზეს ჩემი ძირითად შემადგენლობაში დაყენება არ სურდა და არც ერთხელ ჩემთვის შანსი არ მოუცია.

მივედი მის კაბინეტში სასაუბროდ, მაგრამ ამან არაფერი შეცვალა. რთული პერიოდი იყო, მეგონა, კარგად ვვარჯიშობდი, პარტნიორებსაც არაფერი ესმოდათ ჩემი.

ზლატანი და პოგბა მეკითხებოდნენ, თუ რატომ ვერ ვიღებდი დროს ძირითად შემადგენლობაში. ეს იყო ჩემთვის იმ ყველაფრის დადასტურება, რაც ჩემს თავს ხდებოდა. მივხვდი, რომ დიდ კლუბში პრაქტიკის გარეშე ყოფნა არ მსურდა.

თავიდან უნდა დამეწყო ყველაფერი და ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ შემიძლია ვიყო ერთ-ერთი საუკეთესო. იუნაიტედში გრძელვადიანი კონტრაქტი და კარგი ანაზღაურება მქონდა, მაგრამ თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი.

კლუბი დავტოვე და ვფიქრობ, ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება.

ფეხბურთი

21 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-ბარნლი 2:0
ასტონ ვილა-ნიუკასლი 2:0
კრ.პალასი-ბრენტფორდი 0:0
ლიდსი-ევერტონი 2:2
სიტი-ნორვიჩი 5:0
ბრაიტონი-უოტფორდი 2:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ქარ-ბარნსლი 2:2
ბლეკბერნი-ვესტ ბრომვიჩი 1:2
ბორნმუთი-ბლექპული 2:2
დერბი-მიდლსბრო 0:0
კარდიფი-მილუოლი 3:1
ქოვენთრი-რედინგი 2:1
ლუთონი-ბირმინგემი 0:5
პრესტონი-პიტერბრო 1:0
სტოკი-ნოტინგემი 1:0
ფულემი-ჰალი 2:0
შეფილდი-ჰადერსფილდი 1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ფრაიბურგი 0:0
ბოხუმი-მაინცი 2:0
ჰერტა-ვოლფსბურგი 1:2
ფიურტი-არმინია 1:1
ფრაიბურგი-დორტმუნდი 2:1
ლევერკუზენი-გლადბახი 4:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ვერდერი 0:0
პადერბორნი-ზ.პაული 3:1
რეგენსბურგი-შალკე 4:1
ჰანზა-დინამო 1:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-მალიორკა 0:1
გრანადა-ვალენსია 1:1
ესპანიოლი-ვილიარელი 0:0
ბილბაო-ბარსელონა 1:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-სოსიედადი ბ 0:0
ტენერიფე-ხიხონი 0:0
ალკორკონი-ფუენლაბრადა 0:2

იტალია. სერია ა

ვერონა-სასუოლო 2:3
ინტერი-ჯენოა 4:0
ტორინო-ატალანტა 1:2
ემპოლი-ლაციო 1:3

იტალია. სერია ბ

პორდენონე-პერუჯა 0:1
ჩიტადელა-ვიჩენცა 1:0

საფრანგეთი.ლიგა 1

მონაკო-ლანსი 0:2
სტ.ეტიენი-ლილი 1:1

საფრანგეთი. ლიგა 2

დიჟონი-ტულუზა 2:4
ამიენი-სოშო 0:0
ვალანსიენი-როდეზი 1:4
ლე ავრი-ნიორი 2:1
გრენობლი-კევიი 2:0
დიუნკერკი-ნიმი 0:2
კაენი-ნანსი 1:0
პო-ბასტია 2:0

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ჰერენვენი-ვალვაიკი 3:2
პსვ-კამბური 4:1
სპარტა-ერაკლესი 1:1
გრონინგენი-უტრეხტი 0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ჟილ ვისენტე-ბენფიკა 0:2
სპორტინგი-ბელენენსესი 2:0

ხუთეთი. პრემიერლიგა

არსენალი-სპარტაკი 1:1
ცსკა-ახმატი 2:0
ურალი-დინამო 0:1
უფა-ზენიტი 1:1
კრილია-სოჭი 1:0 (0:0)

ბელგია. ა დივიზიონი

სერენი-სერკლი 2:1
ლუვენი-ეუპენი 1:4

ლუვენის გოლი ლევან შენგელიამ გაიტანა

სტ.ტრუიდენი-კორტრაიკი 0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ადმირა 3:0
ტიროლი-ალტახი 0:0
ზალცბურგი-კლაგენფურტი 3:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-მოზერველი 1:2
სელტიკი-სტ.მირენი 6:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-გირესუნი 2:0
რიზე-ქარაგუმრუქი 0:0
ალანია-ალტაი 1:4
გაზიანთები-ბეშიქთაში 0:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-სიგმა 1:4
ბოლესლავი-ტეპლიცე 3:1
პარდუბიცე-ბოჰემიანსი 1905 ..... 3:0
სპარტა-ჰრადეც კრალოვე 4:0

პორონეთი. ექსტრალიგასა

პოგონი-სტალი 4:1
კრაკოვია-იაბლონეცი 2:1
ლენჩნა-ვისლა 1:3

უნგრეთი. 1 დივიზიონი

დებრეცენი-ზალაეგერსეგი 1:2
ფეჰერვარი-კიშვარდა 2:1

ფეჰერვარის პირველი გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

ჰონვედი-პაკში 3:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ვერესი-მინაი 1:0
დნიპრო-რუხი 2:0
ჩერნომორეცი-შახტარი 0:3

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ბრონდბიუ 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-დეგერფორსი 3:0

ნორვეგია. ელიტსერია

სტაბეკი-მიონდალენი 1:1
სტრომგოდსეტი-ბრანი 3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

წიტაიშვილი არ იქნება, მაყურებელი გაურკვეველია

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს სექტემბერში 3 მატჩი აქვს გასამართი: 2 სექტემბერს შინ კოსოვოსთან, 5 სექტემბერს სტუმრად ესპანეთთან, ხოლო 8 სექტემბერს – ასევე სტუმრად ბულგარეთთან.

კოსოვოსთან და ესპანეთთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებია, ხოლო ბულგარელებთან ამხანაგურად ვითამაშებთ.

ჯერჯერობით ნაკრებს ისევ ვერ დაეხმარება გიორგი წიტაიშვილი, რომელსაც წლის დასაწყისში საქართველოს პასპორტი გადაეცა, მაგრამ უკვე მეორე სანაკრებო ფანჯარაა და ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაშს ვერ ახერხებს.

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ოდესის ჩერნომორეცი, სადაც წიტაიშვილია განათხოვრებული, შინ დონეცკის შახტართან 0:3 დამარცხდა და ქართველი ფეხბურთელი განაცხადში არ იყო.

მატჩის შემდეგ ჩერნომორეცის მთავარმა მწვრთნელმა იური მოროზმა წიტაიშვილის შესახებ მცირე კომენტარი გააკეთა.

იური მოროზი:

– წიტაიშვილს ძველი ტრავმის რეციდივი აქვს. მასთან დაკავშირებით ექიმების პასუხს ველოდებოდით და მივიღეთ კატეგორიული პასუხი – არა. ტრავმის რეციდივის გამო წიტაიშვილს თამაშში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

წიტაიშვილმა ვორსკლაში თამაშისას, სადაც ასევე განათხოვრებით იყო, ტერფის მეხუთე ძვალი მოიტეხა. ძველ ტრავმაში სწორედ ამ დაზიანებას გულისხმობდა ჩერნომორეცის“ მთავარი მწვრთნელი.

სავარაუდოდ, წიტაიშვილი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვილი სანიოლის გამოძახებულთა შორის არ იქნება. დიდი ალბათობით, მუსიე ვილიმ ეს სია დღეს უნდა გამოაქვეყნოს. აქვე გეტყვით, რომ სიაში მრავლად უნდა ველოდოთ ეროვნული ლიგის ფეხბურთელებს.

წიტაიშვილის არყოფნა ერთი საკითხია, მეორეა, იქნება თუ არა კოსოვოსთან მატჩზე დაშვებული მაყურებელი. როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას ბათუმის ახალ სტადიონზე პირველად ჩაატარებს. ბუნებრივია, მომავალი მატჩის მიმართ ინტერესი დიდია. არადა, 4 სექტემბრამდე საქართველოში მთელი რიგი შეზღუდვები მოქმედებს, რაც კორონავირუსის პანდემიასა და ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას უკავშირდება.

დავით მუჯირი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:

– ეს ბათუმის ახალ არენაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი თამაში იქნება. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ, მატჩზე მაყურებლის დასწრება რამდენად მნიშვნელოვანია. ჩვენი და ყველას სურვილია, რომ ეროვნულ გუნდს გულშემატკივარმა ტრიბუნებიდან უქომაგოს. იმედიანად ვარ განწყობილი, მაგრამ ახლა ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ და ყველაფერი 2 სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრე იქნება ცნობილი. შესაბამის უწყებებთან კონსულტაციებს გავივლით და, მატჩამდე რა რეგულაციები იქნება, ეს ჯერ არ ვიცით.

2 სექტემბერს საქართველოსა და კოსოვოს ნაკრებების მატჩი ბათუმი არენაზე 20:00 საათზე დაიწყება.

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველო ესპანეთის, შვედეთის, საბერძნეთისა და კოსოვოს ნაკრებებთან ერთად და 3 მატჩის შემდეგ 1 ქულით ცხრილში ბოლოსწინა, მე-4 ადგილს იკავებს.

საქართველო მეორეა, ალავიძე – პირველი

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ფიბა-ს ევროჩელენჯერის მოგებამდე მცირედი დააკლდა.

პირველ ნახევარფინალში უნგრელებმა პორტუგალიას 63:54 მოუგეს და ფინალში გავიდნენ, საქართველომ კი უკრაინა დაამარცხა – 82:62.

ჩვენმა გუნდმა პირველივე წუთებზე რომ მოიპოვა ხელჩასაჭიდი უპირატესობა, თამაშის ბოლომდე მეტოქე ახლოს აღარ გაიკარა.

მართალია, უკრაინელებს უპირატესობა სიმაღლეში ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს ნაკრების წევრებმა გონივრულად ითამაშეს და მეტოქემ ეს კოზირი ვერაფერში გამოიყენა. ჩვენი გუნდი სტაბილურად თამაშობდა როგორც უკანა ხაზში, ისე ფარქვეშ. საჯარიმოში ხისტი დაცვა ხელს უშლიდა უკრაინელ მაღლებს, სამწამიანში გამაგრებულიყვნენ, შეტევაში კი ლუკა ალავიძე უნივერსალურად მოქმედებდა და, თავად თუ ვერ უტევდა, გამოზომილი პასებით სასროლ პოზიციაზე გაჰყავდა თანაგუნდელები.

აღსანიშნავია, რომ ალავიძემ ოთხმაგი დუბლის ზღვარზე გაიარა. ის ძალიან სარგებლიანი იყო როგორც შეტევაში, ისე დაცვაში, რაზეც სტატისტიკა მეტყველებს: 21 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა და 7 ჩაჭრა. ალავიძეს უკანა ხაზში კარგ ტანდემს უქმნიდა ნიკოლოზ აბულაძე, რომელიც პერიოდულად გამთამაშებლობას ითავსებდა. ჩინებულად ითამაშეს ჩვენი ნაკრების მეფარეებმა ლუკა ლომთაძემ და ანრი ბელთაძემ. ორივე ტანმაღალი კალათბურთელი მწვრთნელებმა სასტარტოში ათამაშეს და ამან გაამართლა. უკრაინელი მეფარეები სამწამიანში რომ ვერ გამაგრდნენ, სწორედ ამ ტანდემის დამსახურება გახლდათ. ლომთაძემ ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, ხოლო ბელთაძემ – 11 ქულა და 8 მოხსნა. წინა და უკანა რგოლების შემაკავშირებელი იყო თენგო გოგიშვილი, რომელმაც კვლავ გამოავლინა ბომბარდირული თვისებები და თავი 19 ქულას მოუყარა.

ირაკლი ტომარაძისა და ნიკა ცინცაძის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი ფინალში იმ უნგრეთთან დამარცხდა, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე 61:51 დაამარცხა. გადამწყვეტ მატჩში კი მადიარებმა რევანში აიღეს – 75:72.

არადა, მატჩის ბოლო წამზე საფინალო სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი გიორგი ბერუაშვილს აუცდა, თორემ ანგარიში გათანაბრდებოდა და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდოდა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს საქმე ამ განწირულ სროლამდე არ უნდა მიეყვანა. ბოლო პერიოდში ტომარაძის გაწვრთნილი გუნდი 7 ქულით – 56:49 იგებდა, მაგრამ დასკვნითი წუთები უნგრელებმა მეტი მობილიზებითა და სიზუსტით ითამაშეს და გამარჯვებამდეც მივიდნენ.

საკვანძო გამოდგა ეპიზოდი, რომელიც საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე გათამაშდა, როცა უნგრეთი 68:66 იგებდა. ჩვენებმა შეტევა გააცუდეს, რასაც ტექნიკური ჯარიმა მოჰყვა. უნგრელებმა საჯარიმო ხომ ჩააგდეს, იმავე შეტევაში სამქულიანიც მიითვალეს და 72:66 დაწინაურდნენ.

საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა დარჩენილ 2 წუთში ბოლომდე იბრძოლეს და თამაშის გადარჩენის შანსიც მიეცათ, მაგრამ...

საქართველოს ნაკრების წევრი ლუკა ალავიძე ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა და ნამატჩევს სპეციალური პრიზიც ჩაიბარა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქალაქი იმერეთში; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მუსიკათმცოდნე, მისიონერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, ურცხვი, მოურიდებელი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ქართველი მწერლის ალექსანდრე ჩოფიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 15. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი.

თარაზულად: 4. კახეთში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. თბილისში მშრალი ხიდის პროექტის ავტორი, იტალიელი არქიტექტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ჩინური ფინიკი; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იუბილე; 2. შამოტი; 3. ლანჩი; 5. არგო; 6. ლუხუნი; 8. აპნისი; 11. ვილსდორფი; 13. მაესტრო; 14. თაკვერი; 15. ხარფუხი; 19. ხოტი.

თარაზულად: 1. ივანიშვილი; 4. ბაჯაღლო; 7. ბუდიზმი; 9. ჩამპინო; 10. კვოტა; 12. ჭვიშტარი; 16. გიორგობა; 17. ვერდერი; 18. კვაწარახი; 20. ფაიზერი; 21. სოჭი; 22. გარდიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დათვები; 2. მაიოლიკა; 3. დისპუტი; 5. აბორდაჟი; 7. ათაბაგი; 9. მაჭანკალი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ტვიში.

თარაზულად: 4. სარკაზმი; 6. გვასალია; 8. ღვინობისთვე; 10. ურბნისი; 11. ჭოტი; 12. იგუანა; 14. წყალი; 17. აკიდო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. ვიმპელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1257

ევრო — 3.6514

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2560

100 რუსული რუბლი — 4.1944

ამინდის პროგნოზი 23 აგვისტოსათვის

კილიან მბაპე, შესაძლოა, პსჟ-ში დარჩეს

პსჟ-ს ფორვარდი კილიან მბაპე, შესაძლოა, გუნდში დარჩეს და ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. ჯერჯერობით კილიანი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მბაპემ პოზიცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც გუნდში მესი გადავიდა სათამაშოდ. პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო დარწმუნებულია, რომ მბაპე გუნდში დარჩება და გუნდთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

დეპაი: „გოლმა ძალიან გამახარა, მაგრამ მოგება მინდოდა“



ბარსელონის ჰოლანდიელმა ახალწვეულმა მემფის დეპაიმ სადებიუტო გოლი გაიტანა და ეს საკმაოდ ეფექტურად გააკეთა. ეს ბილბაოს ატლეტიკის წინააღმდეგ მოხდა. მატჩის შემდეგ დეპაიმ განაცხადა, რომ ის ძალიან ბედნიერია გოლით, მაგრამ არა შედეგით, რადგან ბარსამ ვერ მოიგო:

– გამარჯვება მინდოდა, ამიტომ იმედგაცრუებული ვარ, თუმცა გატანილმა გოლმა ძალიან გამახარა. ბევრი სამუშაო გვაქვს იმისთვის, რომ ასეთ შეხვედრებში ქულები არ დავკარგოთ.

ლივერპული სალაჰს ვერ უთანხმდება

ლივერპული ახლოს იყო მოჰამედ სალაჰთან კონტრაქტის გაფორმებასთან, მაგრამ, ბოლო ინფორმაციის თანახმად, სალაჰი ძალიან მაღალ ანაზღაურებას ითხოვს და ლივერპული უარზეა.

თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ, არ არის გამორიცხული, სალაჰმა ლივერპული დატოვოს, თუმცა ლივერპული დარწმუნებულია, რომ საბოლოოდ სალაჰი მათ პირობებს დასთანხმდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შეგიძლია, არ დაამთქნარო, როდესაც გელაპარაკები?

– კი არ ვამთქნარებ, რაღაცის თქმას ვცდილობ!!!

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– შეიძლება, საცეკვაოდ გაგიწვიოთ?

– სამი შვილი...

– ააა.... მაშინ დაისვენეთ, დაისვენეთ...

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, ნამუსი იქონიე, მეტი აღარ შემიძლია!

– შენ არ იყავი, დაწოლამდე რომ გაიძახოდი, ნამდვილი მანიაკი ვარო?!

●●●

კაცი გზის პირას ძროხასთან ერთად დგას და მანქანის გაჩერებას ცდილობს. არავინ უჩერებს. ბოლოს ერთმა გადაწყვიტა, მოდი, წავეკაიფებიო, გაუჩერა და ეკითხება:

– აბა, რა გინდა?

– ქალაქამდე წამიყვან?

– კი მაგრამ, ძროხა?

– ის ფეხით გამოგვედევნება.

კაცი მანქანაში ჩაჯდა და მიდიან. ძროხა უკან მისდევთ. მძღოლმა სიჩქარე 60-მდე გაზარდა, ძროხა არ ჩამორჩა. სიჩქარე 80-მდე აიყვანა. ძროხა კვალში მიჰყვება. ბოლოს 120-მდე ასწია სიჩქარე, ძროხა არ ჩამორჩა. მძღოლი მგზავრს ეუბნება:

– არ ჩამოგვრჩა, მაგრამ ენა კი გადმოაგდო.

– რომელ მხარეს?

– მარცხნივ!

– მანქანა მარჯვნივ დაიჭირე, ახლა გასწრებაზე გავა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანუკა გოგიჩაიშვილი გოგონას დედა გახდა



მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი გოგონას დედა გახდა. ლამაზმანს პირველი შვილი შეეძინა. ნანუკამ ამერიკაში იმშობიარა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია ნანუკას დამ, ნინი გოგიჩაიშვილმა გაავრცელა და უამრავი მილოცვაც მიიღო.

ნანუკას რჩეული ნიკოლოზ ნაყოფიაა. წყვილმა ახალშობილთან ერთად უამრავი საუკეთესო სურვილი მიიღო.

ია ფარულავა გიორგი ფხაკაძის დაჯილდოებას ითხოვს

მსახიობი ია ფარულავა სახელმწიფოს სთხოვს, ექიმი გიორგი ფხაკაძე დააჯილდოოს:

– მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მთავრობამ და მხედრობამ დააჯილდოოს ბატონი გიორგი ფხაკაძე წმინდა გიორგის სახელობის ორდენით კოვიდთან ბრძოლის დროს განსაკუთრებული წვლილისათვის.

„იავნანას“ შვილობილი დიტო რაზმაძე ქორწინდება



პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდის, „იავნანას“ შვილობილი დიტო რაზმაძე ვიკა ბერიანიძეზე ქორწინდება.

დიტოს 2008 წლის აგვისტოს ომში მამა და ორსული დედა დაეღუპა. ის ფონდმა „იავნანამ“ იშვილა და წლების განმავლობაში მასზე ზრუნავდა.

„იავნანას“ შვილობილი დიტო რაზმაძე ქორწინდება! ბედნიერება დიტოსა და ჩვენს საპატარძლოს ვიკა ბერიანიძეს“, – ნათქვამია „იავნანას“ განცხადებაში.

ანსამბლი „რუსთავი“ შვეიცარიაში ფესტივალზე მიიწვიეს

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ შვეიცარიის ალპებში მდებარე ქალაქ სიონში საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე მიიწვიეს.

ანსამბლი მსმენელის წინაშე ტრადიციული რეპერტუარითა და გია ყანჩელის ნაწარმოებ „წუთისოფლით“ წარდგება. კონცერტამდე მომღერლებმა რეპეტიციები ქალაქ სიონის კონსერვატორიაში ცნობილ მევიოლინეებთან პაველ ვერნიკოვთან და სვეტლანა მაკაროვასთან ერთად გაიარეს.

საერთაშორისო ფესტივალი უკვე 38-ედ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იმართება. „რუსთავი“ აღნიშნულ ფესტივალში მეოთხედ მონაწილეობს.

წლევანდელ საფესტივალო პროგრამაში რეზო გაბრიაძის ფილმი და მარიონეტების თეატრის სპექტაკლიც იყო წარმოდგენილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტსმენის გამოსახულებიანი ძველი საკოლექციო ბარათი მილიონებად გაიყიდა

1909 წელს გამოშვებული ძველი საკოლექციო ბარათი, რომელზეც ამერიკელი სპორტსმენი ჰონუს ვაგნერია გამოსახული, აუქციონზე 6,6 მილიონ დოლარად შეაფასეს.

აუქციონის ორგანიზატორებმა ბარათზე ვაჭრობა ორშაბათს, 16 აგვისტოს დახურეს. მათ აღნიშნეს, რომ T206 Honus Wagner-მა ღირებულების რეკორდი 5,2 მილიონი დოლარი მოხსნა, რომელიც კალათბურთელ მიკი მენტლოს 1952 წელს გამოშვებულმა ბარათმა დაამყარა.

ბეისბოლისტ ჰონუს ვაგნერის გამოსახულებიანი ბარათი, რომელიც Pitsburgh Pirates-ს შემადგენლობაში გამოდიოდა, დიდი ხნის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე ღირებულად ითვლებოდა კოლექციონერებისთვის. ექსპერტების შეფასებით, ასეთი მხოლოდ 60 ბარათი არსებობს, ვინაიდან ვაგნერმა მისი გამოსახულებიანი ბარათის 1909-11 წლების ტირაჟიდან ამოღება მოითხოვა.

– ეს „ვაგნერი“ თავისი ღირებულებით გამოირჩევა. ის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შენახული ეგზემპლარია, – აღნიშნა აუქციონის ორგანიზატორი კომპანიის პრეზიდენტმა ბრაიან დუაიერმა.

როგორც ბარათის გამყიდველმა კოლექციონერმა, ისე მისმა მყიდველმა ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

მამაკაცმა თავისი ძაღლი ალიგატორს ყბებიდან გამოსტაცა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ მაუნტ-პლეზანტის მცხოვრებმა თავისი ძაღლი აგრესიული ალიგატორისგან დაიხსნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ბრიუს სევიჯი თავის ტერიერ ჰანასთან ერთად გუბურას სიახლოვეს სეირნობდა.

– უცბად სტვენის მსგავსი ხმა გავიგონე, მივიხედე და ჩემი ძაღლის უკანა ნაწილი უკვე ალიგატორის ყბებში იყო მოქცეული, – ყვება მამაკაცი.

სევიჯმა თავის ძაღლი საბელით მოქაჩა, რათა ის მტაცებლის ყბებისგან დაეხსნა. ორთაბრძოლა დაახლოებით ერთ წუთს გაგრძელდა. რეპტილიამ ყბები გახსნა, ძაღლს თავი ანება და წყალში გაუჩინარდა.

ძაღლი ცოცხალი გადარჩა, თუმცა დაკარგა კუდი და სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო მისი პატრონი კი არ დაშავებულა. ამ თავდასხმის შემდეგ სევიჯმა ცხოველთა კონტროლის სამსახურს მიმართა. შემთხვევის ადგილზე ალიგატორებზე ნადირობის სპეციალისტები მივიდნენ. ისინი მტაცებელ რეპტილიას რამდენიმე საათი ეძებდნენ, მაგრამ ვერ მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 აგვისტოსათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 2. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 3. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 5. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 6. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 15. ხეხილის ბაღი; 19. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

თარაზულად: 1. გადასახდელზედიანი მსუბუქი ავტომობილი; 4. მოღალატე, ვერაგი, გაუტანელი ადამიანი; 7. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი სკივრი; 9. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 10. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი; 16. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 17. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 21. ციტრუსოვანი ხილი; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა